

3 2 2 2 2 2 2 2

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

საგარეო ურთიერთობების

1 0 0 3

მ. გიგაუჩი

ფეხთმეცობის  
პრაქტიკები

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“  
თბილისი-1963

1878

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“  
თბილისი-1963

ტყელომწიფობის პროექტივში წარმოდგენს დამხმარე სა-  
ხელმძღვანელოს, იგი შედგენილია ტყელომწიფობის კურსის მოქმე-  
დი პროგრამის შესაბამისად და ძირითადად გათვალისწინებულია სა-  
პარტიულოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყელო-სამეურნეო  
ფაკულტეტის სტუდენტთათვის. ამის გარდა, იგი სათანადო დამხ-  
რებას გაუწევს წარმოებაში მომუშავე მეტყევე სპეციალისტებს  
ტყელომწიფობის ცალკეული საკითხების ვარჯიშებში. ამ წიგნის შედ-  
გენის დროს ჩვენ ვცდილობდით გავეშუქებინა, თუ როგორ ხდება  
პროექტულად ტყელომწიფობის ცალკეული საკითხების გადაწყვეტა-  
წესობა.

დამხმარე სახელმძღვანელოს შესადგენად, შესაძლებლობის მი-  
სედეოთ, გამოყენებულია როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე არ-  
სებული სპეციალური ლიტერატურული წყაროები; ამასთან ზოგი-  
ერთი საკითხის განხილვის დროს გამოვიყენეთ სათანადო კვლევითი  
მეთოდის შედეგად მოპოვებული საკუთარი მასალა.

წიგნი მოკლედ ვადმოცემულია საბჭოთა ტყელომწიფობის თეო-  
რია, მისი ეკონომიური და მეტყევეობითი საფუძვლები, ტყელომ-  
წიფობის სხვადასხვა ტექნიკური ხერხი, ტყეების დაყოფა-ინვენტა-  
რიზაცია, ტყით სარგებლობის დაპროექტება-გაანგარიშება, ტყეო-  
მწიფობის სამუშაოთა დაგეგმვა-ორგანიზაცია და სხვ.

რედაქტორი ვ. მიჩხაშვილი  
გამომც. რედაქტორი ელ. ქაჯაია  
ტექნორედაქტორი ე. კორღაშინაძე  
კორექტორი ე. კვიციანიძე

\* \* \*

ტყ. 35.

ტირაჟი 1000

გადიცვა წარმოებას 10/1-63 წ. ხელომწიფობის დასახელებად  
15/V-63 წ. ანაწილის ზომა 7×11, ქალაქის ზომა 70×108. სას-  
ტამბო თაბახის რაოდენობა 13,5, სააქტოო თაბახი 14,7, სააღ-  
რიცხ.-საგამომც. თაბახი 14,62.

ფ ა ხ ი 47 კ ა ბ.

წიგნის წითელი დროშის ორდენის საპარტიულოს სასოფლო-  
სამეურნეო ინსტიტუტის ტანბა, თბილისი,  
ი, ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Типография Грузинского ордена Трудового  
Красного Знамени сельскохозяйственного института,  
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 33.

## შ ე ს ა ვ ე ლ ი

### ტყეოთმონყობის საგანი და ამოცანები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ კომუნისტების წინგებლობის გრანდიოზული პროგრამა დასაბა. ამ საბატიო ამოცანის განხორციელებაში თავისი როლი უნდა შეასრულოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა დარგმა— სატყეო მეურნეობამ. მან უნდა უზრუნველყოს ტყეების რაციონალური გამოყენება იმ თვალსაზრისით, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები დააკმაყოფილოს ტყის პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქციით.

საბჭოთა კავშირი, ტყით სიმდიდრის მხრივ, მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. აქ ყველა ტყე, მიუხედავად იმისა, თუ ვის განგებლობაში ან სარგებლობაშია იგი, სახელმწიფო საკუთრებას, საერთო სახალხო სამდიდრეს წარმოადგენს.

სსრ კავშირის ერთიანი სატყეო ფონდი, ტყით სარგებლობის სახეობადობრივი ფორმის მიხედვით, ორ ნაწილად იყოფა: სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეები.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები განკუთვნილია სახალხო მეურნეობის ნაირგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, როგორც მერქნისა და ტყით არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქციით, ისე იმ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების შესრულებით, როგორცაა ტყეების წყალდაცვითი, ნიადაგთვალვითი, საკურორტო და სხვა თვისებები.

საკოლმეურნეო ტყეებად ითვლება ტყის ის მასივები, რომლებიც მუდმივი სარგებლობისთვის სახელმწიფო აქტების მიხედვით კოლმეურნეობებზეა მიმარგებული. საკოლმეურნეო ტყეების ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს მერქანზე და ტყის სხვა პროდუქტებზე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ამის გარდა, საკოლმეურნეო ტყეებმა ხელი უნდა შეუწყონ საკოლმეურნეო მიწდვრებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის ზემოაღნიშნული ზოგადი მიზნები საჭიროა დაკონკრეტებულ იქნეს ცალკეული, ტერიტორიულად განკალკვებული სატყეო-სამეურნეო ერთეულების—სატყეო მეურნეობების ან მისა ნაწილების მიხედვით, მათი თავისებურებებისა და მნიშვნელობის შესაბამისად.

სოციალისტური სატყეო მეურნეობის განვითარება წარმოებს სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიანი გეგმის შესაბამისად. ეს გეგმა სატყეო მეურნეობის წინაშე ორგვარი ხასიათის ამოცანას აყენებს, კერძოდ, რა უნდა იქნეს მისგან მიღებული სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის განვითარებისათვის და რა უნდა იქნეს შეტანილი მასში, რომ უზრუნველყოთ მისი შემდგომი განვითარება.

პირველი ამოცანა გულისხმობს ტყით სარგებლობას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ხოლო მეორე—სატყეო-სამეურნეო და სატყეო-საკულტურო ღონისძიებების განხორციელებას, რამაც ტყის ფონდის წარმადობის ამაღლება უნდა უზრუნველყოს; ორივე ეს ძირითადი ამოცანა დაკონკრეტებულ უნდა იქნეს ტერიტორიულად განცალკევებული ისეთი სატყეო-სამეურნეო ერთეულისათვის, როგორცაა სატყეო მეურნეობა ან მისი ცალკეული ნაწილი. ამ საკითხების განხორციელება წარმოადგენს ტყეთმომწყობის საგანს. მაშასადამე, ტყეთმომწყობის საგანს შეადგენს—ტერიტორიულად განცალკევებული სატყეო-სამეურნეო ერთეულისათვის მეურნეობის მიზნების, მისი საორგანიზაციო ფორმების, ტყით სარგებლობისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ხასიათისა და მოცულობის დასაბუთება (ა. ბაიტინი და სხვ., 1950).

ტყეთმომწყობა—აღნიშნავს გ. მოტოვილოვი (1958)—თავის მხრივ ეკონომიურ, სატყეო-სამეურნეო, სატექნიკო, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, საგეგმო და საპროექტო ღონისძიებათა რთულ კომპლექსს წარმოადგენს; ისინი განსაზღვრული თანამიმდევრობით ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მათი როლის შემდგომი გაძლიერების მიზნით სრულდება.

საგნის ძირითადი შინაარსით (ა. ბაიტინი და სხვ. 1950 წ.) ტყეთმომწყობა:

1. სწავლობს სატყეო მეურნეობის ეკონომიურსა და ბუნებრივ-ისტორიულ პირობებს. სამეურნეო ნაწილებად ყოფს ტყის ფონდს და მეურნეობის წარმოების რეჟიმსა და სისტემებს ამ ცალკეული ნაწილების მიხედვით ასაბუთებს;
2. ანალიზს უკეთებს მოსაწყობ ობიექტზე თანამედროვე და წარსული მეურნეობის დადებითსა და უარყოფით მხარეებს და ადგენს მეურნეობის გაუმჯობესების ძირითად მიმართულებასა და მეთოდებს;
3. აწარმოებს სატყეო ფონდის ინვენტარიზაციასა და დაყოფას; იკვლევს ტყის ზრდას, განახლებასა და მდგომარეობას;
4. ადგენს მეურნეობის საორგანიზაციო გეგმას, რომელიც ტყეში მეურნეობის წარმოების ძირითად საფუძვლებს მოიცავს;
5. უახლოესი პერიოდისთვის მთავარი და შუალედური სარგებლობის შესაძლებელი ოპერების განგარიშებისა და ჭრების განლაგების წესებს განსაზღვრავს;
6. ასაბუთებს აუცილებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების მიმართულებას, მოცულობას, მორიგობასა და განლაგებას და მათი განხორციელებებისათვის საჭირო სასრების ოდენობას;

7. აპროექტებს სატყეო მეურნეობის ადგილობრივი მმართველობისა და ტყის დაცვის ორგანიზაციას.

ჩამოთვლილი ფუნქციებიდან აშკარად ჩანს, რომ ტყეთმომწყობას მკვიდრო კავშირი აქვს სატყეო მეურნეობის რიგ დისციპლინებთან. ეს კავშირი, პირველ რიგში, ორგანულად ისეთ საგნებთან შედარდება, როგორცაა სატყეო მეურნეობის ეკონომიკა, მერტყეეობა, სატყეო ტექსტილა და ტყის ექსპლუატაცია.

სატყეო მეურნეობის ეკონომიკა სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის საერთო მიმართულებასა და ძირითად დებულებებს განსაზღვრავს. იგი სატყეო მეურნეობის განვითარების კანონზომიერებებს სწავლობს. სატყეო მეურნეობის ეკონომიკა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ეფექტურობის სივრცე პრინციპების განსაზღვრას იძლევა. ტყეთმომწყობა, სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის დროს, ყურდნობა სატყეო ეკონომიკის პრინციპებს და პრაქტიკულად ადგენს მოსაწყობ ობიექტზე ტყის მეურნეობის მიმართულებისა და მეურნეობის ორგანიზაციის ძირითად დებულებებს. მაშასადამე, ტყეთმომწყობა, ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით, სატყეო მეურნეობაში განსახორციელებელ სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს აპროექტებს.

ტყეთმომწყობა, თავის მხრივ, ისეთ საკითხებს აყენებს, რომლებიც ეკონომიკურ შესწავლა-გამოკვლევას მოითხოვენ და ამით სატყეო მეურნეობის ეკონომიკას ამდიდრებს.

შეტად მკვიდრო კავშირი არსებობს ტყეთმომწყობასა და მერტყეეობას შორის. მერტყეეობა ტყეთმომწყობის ტექნიკური საფუძველია. ცნობილია, რომ მერტყეეობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს სწავლობს, როგორცაა ტყის მთავარი და შუალედი სარგებლობის კრების მეთოდები, ტყის ბუნებრივი და ხელოვნური განახლების წესები, მერქნიანი სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებები და სხვ. მერტყეეობის მიერ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას; ტყეთმომწყობა იყენებს ამა თუ იმ მოსაწყობი სატყეო მეურნეობის კონკრეტული პირობების შესაბამისად. მაგალითად, საქართველოს შთას ტყეებისთვის მერტყეეობის მიერ შემუშავებული და დადგენილია მთავარი სარგებლობის კრების სახეები და ცალკეული მერქნიანი სახეობის ტყის მასივებში მათი ჩატარების ტექნიკა. ტყეთმომწყობა იყენებს რა ყოველივე ამას. ცალკეული მოსაწყობი სატყეო მეურნეობის ტყის მასივებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, ადგენს მთავარი სარგებლობის კრის სისტემასა და მისი ჩატარების ტექნიკას.

ტყეთმომწყობა ასევე მკვიდრო კავშირშია სატყეო ტექსტილითაც. ტყეთმომწყობის შეტად მნიშვნელოვანი ნაწილი - ტყის ინვენტარიზაცია, თანამშრომლის მთლიანად სატყეო ტექსტილის მიერ შემუშავებული ხეივებისა და ტყეების საშუალებით წარმოებს. ტყეთმომწყობა, თავისი რეკონსტრუქციონული განაგარიშებებისთვის ფართოდ იყენებს სატყეო ტექსტილის ცოდნას მეთოდებს. მაგალითად, კორომების ზრდის მსკვლელობის, ტყის ტრას ხნოვანების, ტყის სიმწიფის, კორომის აღნაგობის, ტყის სარგებლობის განაგარიშებისა და რიგი სხვა სამეურნეო ხასიათის საკითხებს შესწავლას ტყეთმომწყობა სატყეო ტექსტილის საშუალებით აწარმოებს.

სოციალისტური სატყეო მეურნეობის განვითარება წარმოებს სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიანი გეგმის შესაბამისად. ეს გეგმა სატყეო მეურნეობის წინაშე ორგანიზაციის ხასიათის ამოცანას აყენებს, კერძოდ, რა უნდა იქნეს მისგან მიღებული სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის განვითარებისათვის და რა უნდა იქნეს შეტანილი მასში, რომ უზრუნველყოთ მისი შემდგომი განვითარება.

პირველი ამოცანა გულისხმობს ტყით სარგებლობას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ხოლო მეორე—სატყეო-სამეურნეო და სატყეო-საკულტურო ღონისძიებების განხორციელებას, რამაც ტყის ფონდის წარმადობის ამაღლება უნდა უზრუნველყოს; ორივე ეს ძირითადი ამოცანა დაკონკრეტებულ უნდა იქნეს ტერიტორიულად განცალკევებული ისეთი სატყეო-სამეურნეო ერთეულისათვის, როგორცაა სატყეო მეურნეობა ან მისი ცალკეული ნაწილი. ამ საკითხების განხორციელება წარმოადგენს ტყეთმომწყობის საგანს. მანასადავს, ტყეთმომწყობის საგანს შეადგენს—ტერიტორიულად განცალკევებული სატყეო-სამეურნეო ერთეულისათვის მეურნეობის მიზნების, მისი საორგანიზაციო ფორმების, ტყით სარგებლობისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ხასიათისა და მოცულობის დასაბუთება (ა. ბაიტინი და სხვ., 1950).

ტყეთმომწყობა—აღნიშნავს გ. მოტოვილოვი (1958)—თავის მხრივ ეკონომიურ, სატყეო-სამეურნეო, სატაქსაციო, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, საგეგმო და საპროექტო ღონისძიებათა რთულ კომპლექსს წარმოადგენს; ისინი განსაზღვრული თანამიმდევრობით ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მათი როლის შემდგომი გაძლიერების მიზნით სრულდება.

საგანის ძირითადი შინაარსით (ა. ბაიტინი და სხვ. 1950 წ.) ტყეთმომწყობა:

1. სწავლობს სატყეო მეურნეობის ეკონომიურსა და ბუნებრივ-ისტორიულ პირობებს. სამეურნეო ნაწილებად ყოფს ტყის ფონდს და მეურნეობის წარმოების რეჟიმსა და სისტემებს ამ ცალკეული ნაწილების მიხედვით ასაბუთებს;

2. ანალიზს უკეთებს მოსაწყობ ობიექტზე თანამედროვე და წარსული მეურნეობის დადებითსა და უარყოფით მხარეებს და ადგენს მეურნეობის გაუმჯობესების ძირითად მიმართულებასა და მეთოდებს;

3. აწარმოებს სატყეო ფონდის ინვენტარიზაციასა და დაყოფას: იკვლევს ტყის ზრდას, განახლებასა და მდგომარეობას;

4. ადგენს მეურნეობის საორგანიზაციო გეგმას, რომელიც ტყეში მეურნეობის წარმოების ძირითად საფუძვლებს მოიცავს;

5. უასლოესი პერიოდისთვის მთავარი და შუალედური სარგებლობის შესაძლებელი ოდენობის გაანგარიშებისა და ტრების განლაგების წესებს განსაზღვრავს;

6. ასაბუთებს აუცილებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების მიმართულებას, მოცულობას, მორიგეობასა და განლაგებას და მათი განხორციელებისათვის საჭირო სახსრების ოდენობას;

7. აპროექტებს სატყეო მეურნეობის ადგილობრივი მმართველობისა და ტყის დაცვის ორგანიზაციას.

ჩამოთვლილი ფუნქციებიდან აშკარად ჩანს, რომ ტყეთმომწყობას მკვიდრო კავშირი აქვს სატყეო მეურნეობის რიგ დისციპლინებთან. ეს კავშირი, პირველ რიგში, ორგანიზულად ისეთ საგნებთან შედარდება, როგორცაა სატყეო მეურნეობის ეკონომიკა, მეტყევეობა, სატყეო ტაქსაცია და ტყის ექსპლუატაცია.

სატყეო მეურნეობის ეკონომიკა სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის საერთო მიმართულებასა და ძირითად დებულებებს განსაზღვრავს. იგი სატყეო მეურნეობის განვითარების კანონზომიერებებს სწავლობს. სატყეო მეურნეობის ეკონომიკა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ეფექტურობის ზოგადი პრინციპების განსაზღვრას იძლევა. ტყეთმომწყობა, სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის დროს, ეყრდნობა სატყეო ეკონომიკის პრინციპებს და პრაქტიკულად ადგენს მოსწყობ ობიექტზე ტყის მეურნეობის მიმართულებისა და მეურნეობის ორგანიზაციის ძირითად დებულებებს. მაშასადამე, ტყეთმომწყობა, ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით, სატყეო მეურნეობაში განსაზღვრულ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს აპროექტებს.

ტყეთმომწყობა, თავის მხრივ, ისეთ საკითხებს აყენებს, რომლებზეც ეკონომიკურ შესწავლა-გამოკვლევას მოითხოვენ და ამით სატყეო მეურნეობის ეკონომიკას ამდიდრებს.

მეტად მკვიდრო კავშირი არსებობს ტყეთმომწყობასა და მეტყევეობის შორის. მეტყევეობა ტყეთმომწყობის ტექნიკური საფუძველია. ცნობილია, რომ მეტყევეობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს სწავლობს, როგორცაა ტყის მთავარი და შუალედი სარგებლობის ჭრების შეთოდები, ტყის ზუნგბრძოლა და ხელოვნური განახლების წესები, მერქნიანი სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებები და სხვ. მეტყევეობის მიერ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, ტყეთმომწყობა იყენებს ამა თუ იმ მოსაწყობი სატყეო მეურნეობის კონკრეტული პირობების შესაბამისად. მაგალითად, საქართველოს შიდა ტყეებისთვის მეტყევეობის მიერ შემუშავებული და დადგენილია მთავარი სარგებლობის ჭრების სახეები და ცალკეული მერქნიანი სახეობის ტყის მასივებში მათი ჩატარების ტექნიკა. ტყეთმომწყობა იყენებს რა ყოველივე ამას, ცალკეული მოსაწყობი სატყეო მეურნეობის ტყის მასივებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, ადგენს მთავარი სარგებლობის ჭრის სისტემასა და მისი ჩატარების ტექნიკას.

ტყეთმომწყობა ასევე მკვიდრო კავშირშია სატყეო ტაქსაციასთანაც. ტყეთმომწყობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი — ტყის ინვენტარიზაცია, თითქმის მთლიანად სატყეო ტაქსაციის მიერ შემუშავებული ხერხებისა და წესების საშუალებით წარმოებს. ტყეთმომწყობა, თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური განაგარიშებებისთვის ფართოდ იყენებს სატყეო ტაქსაციის კვლევის შედეგებს. მაგალითად, კორომების ზრდის მსვლელობის, ტყის ჭრის ხნოვანების, ტყის სიმწიფის, კორომის აღნაგობის, ტყით სარგებლობის კანონრიშებისა და რიგი სხვა სამეურნეო ხასიათის საკითხების შესწავლას ტყეთმომწყობა სატყეო ტაქსაციის საშუალებით აწარმოებს.

ტყეფთმოწყობა, თავის მხრივ, სატყეო ტაქსაციის წინაშე აყენებს ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა ტყის ფონდის აღრიცხვის ახალი მეთოდების დამუშავებას, არსებული მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებასა და დახვეწას ნიითხოვს. ამის დასადასტურებლად შეიძლება შემდეგი მაგალითის მოყვანა: საქართველოს ნაირხნოვან ტყეებში ტყეფთმოწყობის სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა, რომ ერთხნოვანი და წმინდა კორომების ზრდის მსვლელობის ცხრილები საქართველოს წმინდა და მით უფრო შერეული ნაირხნოვანი კორომებისთვის გამოუსადეგარია. ამიტომ, ტყეფთმოწყობამ სატყეო ტაქსაციის წინაშე ასეთი კორომების ზრდის მსვლელობის სპეციფიკურობის შესწავლისა და აქედან გამომდინარე, მათი ზრდის მსვლელობის ცხრილების შედგენის საკითხი დააყენა. მაშასადამე, ტყეფთმოწყობა სატყეო ტაქსაციის წინაშე აყენებს ცალკეული საკითხების შესწავლის აუცილებლობას და ხელს უწყობს სატყეო ტაქსაციის თეორიისა და პრაქტიკის წინსვლას.

ტყეფთმოწყობა მჭიდროდაა დაკავშირებული, აგრეთვე, გეოდეზიასთან, სატყეო ავიაციასთან და აეროფოტოაგეგმვასთან. გეოდეზიური გადაღებისა და აეროფოტოაგეგმვის საფუძველზე, ტყეფთმოწყობა მოსაწყობი ობიექტის პლანშეტებს ადგენს. ამის გარდა, აეროფოტოაგეგმვა კორომების ტაქსაციის დროსაც გამოიყენება.

ტყეფთმოწყობას ტყის ექსპლუატაციასთანაც აქვს კავშირი. ეს კავშირი უპირველესად იმაში მდებარეობს, რომ ტყეფთმოწყობა თავის პროექტებს, განსაკუთრებით კი ტყით სარგებლობას, ტყის ექსპლუატაციის მოთხოვნილებებს უნდა უფარდებდეს. ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის საშუალებით ტყე, როგორც ბუნებრივი სიმდიდრე გამოიყენება მერქნითა და ტყის სხვა პროდუქტებით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ნაირგვარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. ამიტომ, ტყეფთმოწყობის არსებით ნაწილს მოსაწყობი ობიექტზე, ტყის დამამზადებლისა და ტრანსპორტირების საშუალებებისა და მათზე სატყეო-სამეურნეო საქმიანობის გავლენის შესწავლა შეადგენს. მართალია, ტყეფთმოწყობა ტყის ექსპლუატაციის ტექნოლოგიურ პროცესებს არ ამუშავებს, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს ყველა ის პირობა, რომელიც უზრუნველყოფს ტყის ექსპლუატაციის მაღალ დონეზე დაყენებას. ერთი სიტყვით, ტყეფთმოწყობა მოსაწყობი ობიექტის ფარგლებში, საზღვრავს საექსპლუატაციო ტყის ნელლეული ბაზის სიდიდესა და ტყით სარგებლობის ოდენობას გარკვეული პერიოდისათვის. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ტყის ექსპლუატაცია ტყეფთმოწყობის მიერ შედგენილ მასალებს იყენებს ტყეში სათანადო სატყეო საექსპლუატაციო სამუშაოების განხორციელებისთვის.

ტყეფთმოწყობის სხვა დისციპლინებთან კავშირის შესახებ, ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი, როგორც მეცნიერული დისციპლინა, ძირითადად სატყეო მეცნიერების რიგ დარგებზეა დაფუძნებული. ტყეფთმოწყობა სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის თეორიულ საფუძვლებს ამუშავებს. იგი ტექნიკურ-ეკონომიური ხასიათის დისციპლინაა, რომელიც, ეყრდნობა ზემოაღნიშნულ დისციპლინებს და, კონკრეტული მოსაწყობი ობიექტის პირობების შესაბამისად, იძლევა სატყეო მეურნეობის განვითარების საორგანიზაციო-სამეურნეო გეგმის დასაბუთებულ პროექტს.

სსრ კავშირის გეგმის დაყოფა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მიხედვით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კერძო საკუთრება ტყეზე გაუქმდა და იგი საერთო სახელმწიფო საკუთრებად იქცა. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სრულიად რუსეთის 1917 წლის 8 ნოემბრის ყრილობის დეკრეტით, ჩვენი ქვეყნის ყველა ბუნებრივი სიმდიდრე და მათ შორის ტყეც, სოციალისტურ საკუთრებად გამოცხადდა და იგი ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების სამსახურში იქნა ჩაყენებული.

საბჭოთა სახელმწიფომ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტყეების მოვლის, დაცვისა და მათში რაციონალური მეურნეობის წარმოების საკითხებს. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 27 მაისის დეკრეტით ტყის შესახებ, მთლიანად დაბთავდა ტყეების სოციალისტური ნაციონალიზაცია, შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო სატყეო ფონდი და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის წარმოებასა და მმართველობის ძირითადი საფუძვლები შემუშავდა. ამ დეკრეტით საფუძველი ჩაეყარა სატყეო მეურნეობის ნამდვილ სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციას.

სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის ორგანიზაციული სრულყოფის კვილსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქონდა ე. წ. სატყეო კოდექსის შემუშავებასა და მიღებას, რომელიც მოქმედებანი 1923 წლის 1 აგვისტოდან შევიდა. 1923 წლიდან სსრ კავშირის ტყეები სახალხო-სამეურნეო დანიშნულებას მიხედვით, შემდგენიარად იყოფოდა:

ა) საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები, რომლებიც მუშაკანსა და ტყის სხვა პროდუქტებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის იყვნენ განკუთვნილი;

ბ) განსაკუთრებული დანიშნულების ტყეები, რომელთაც სპეციალური მიზნები აქონდათ დაკისრებული (სასწავლო-საცდელი, დაცვითი, საკურორტო და სხვ.);

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები. განკუთვნილი ტყის პროდუქტიაზე ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.

სოციალისტური მშენებლობის აღმავლობასთან ერთად დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ტყეებში მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების მიზნით. ამ მხრივ, დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1931 წლის 31 ივლისის დადგენილებამ — „სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის ტყეები ორ ზონად, სატყეო-საკულტურო და სატყეო-სამრეწველო ზონად გაიყო.

სატყეო-საკულტურო ზონაში ძირითადად, ჩვენი ქვეყნის უტყეო და მცირეტყეიანი რაიონების ტყეები მოექცა (სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალური და სამხრეთ რაიონები, უკრაინა და სხვ.). ამ ზონაში ტყის მეურნეობის წარმოების მიზანს, სატყეო-საკულტურო და ტყის აღდგენა-განახლებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება წარმოადგენდა. მკვეთრად შეიზღუდა მერქნით სარგებლობის ოდენობა და იგი მერქნის ყოველწლიურ ნამატს არ აღემატებოდა. აიკრძალა კონცენტრირებული ჭრების ჩატარება. მდინარეების: ვოლგის, დონის, დნეპრისა და ურალის წყლიანობის დაქვეითების თავიდან აცილების მიზნით, მათი შუა და ქვედა დინების ორივე მხარეს გამოიყო ერთკლომეტრიანი წყალდაცვითი ტყის ზოლები, სადაც, გარდა გადაბერებული და გამზარა ხე-ტყისა, აკრძალულ იქნა ტყის ყოველგვარი ჭრა.

სატყეო-სამრეწველო ზონაში, ჩვენი ქვეყნის ტყით მდიდარი რაიონების ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის ტყის მასივები შევიდა. ამ ზონაში ტყის მეურნეობის წარმოების მიზანი, სატყეო მრეწველობის განვითარებას დაექვემდებარა. ტყით სარგებლობა იმ მოთხოვნის მიხედვით წარმოებდა, რომელიც სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმის მიხედვით ისახლვრებოდა. აქ დაშვებულ იქნა ტყის პირწმინდა კონცენტრირებული ჭრა.

საბჭოთა მთავრობის 1936 წლის 2 ივლისის დადგენილებით, მდინარეებისა და წყლების რეჟიმის რეგულირების მიზნით, მთლიანი ტყის ფონდიდან, ძირითადად, სატყეო-საკულტურო ზონის ტყეების ბაზაზე შეიქმნა წყალდაცვითი ტყეების ზონა. აქ მეურნეობის წარმოების ძირითად რეჟიმსა და პრინციპს, ამ ტყეების წყალდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციების განხორციელება განსაზღვრავდა. ყველა მნიშვნელოვანი მდინარისა (ვოლგა, დონი, დნეპრი, ურალი და სხვ.) და მათი შესართავების ორივე მხარეს, აკრძალული ზოლები გამოიყო; მათი სიგანე ზემო დინებაში 20 კმ იყო, ხოლო შუა და ქვემო დინებებში 6 კმ; ამ ზოლებში დაშვებული იყო მხოლოდ ნოვლითა და სანიტარული ჭრები, რომლებიც ტყის ძირითადი თვისებების გაუმჯობესებას ემსახურებოდა. წყალდაცვითი ზონის ტყის დანარჩენ მასივებში, მართალია, მთავარი სარგებლობის ჭრები დაშვებული იყო, მაგრამ ტყით სარგებლობის ოდენობა, ცალკეული მეურნეობების მიხედვით, მერქნის წლიურ საშუალო ნამატს არ აღემატებოდა. წყალდაცვით ზონაში ტყის მეურნეობის წარმოების ძირითად მიმართულებას ტყეების დაცვის, მოვლის და სატყეო-საკულტურო და ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების განსორციელება შეადგენდა.

ტყეების დაცვისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს სსრ კავშირის მთავრობის 1943 წლის 23 აპრილის დადგენილება.

ტყეებში რაციონალური მეურნეობის წარმოებისა და ტყის რესურსების განოლვევის თავიდან აცილების მიზნით, სსრ კავშირის ტყის ფონდი სამ ჯგუფად დაიყო:

1 ჯგუფში შევიდა ისეთი ტყის მასივები, რომელთაც სახალხო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელო-

ბის ფუნქციების შესრულება ეკისრებათ. ასეთებია: წყალდაცვითი, წყალ-მარგულირებელი, ნიადაგთდაცვითი, მინდორსაცავი, საკურორტო, ნაკრძალები და სხვა სასარგებლო თვისებების მქონე ტყის მასივები.

II ჯგუფს მიეკუთვნება ტყის მასივები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უწყეო და მცირეტყიან რაიონებში არიან განლაგებულნი (სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთი რაიონები).

III ჯგუფში სსრ კავშირის ტყით მდიდარი რაიონების მასივებია მოქცეული, კერძოდ, ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის რაიონები.

სსრ კავშირის მთლიანი ტყის ფონდი, ტყის აღრიცხვის უკანასკნელი (1961 წ. 1 იანვრისათვის) მონაცემებით, ჯგუფების მიხედვით, შემდეგნაირადაა დანაწილებული (ცხრ. 1).

სსრ კავშირის ტყის ფონდის ჯგუფებად დანაწილება

(მანძილი და ჰექტარი)

სსრ კავშირის სახელმწიფო ტყის ფონდის მთლიანი ფართობი	ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს		
	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი
1 175 785 400	170 124 400	52 517 500	453 143 500
100 %	14,5	4,4	38,1

I ჯგუფის ტყეებში, მეურნეობის წარმოების ძლიერად მიზანსა და პრინციპს ამ ტყეების განსაკუთრებული ფუნქციების შენარჩუნება და გააღვივება წარმოადგენს. მერქნით სარგებლობა ძლიერ შეზღუდულია და მთლიანად ტყეების სასარგებლო თვისებების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ექვემდებარება. მთავარი სარგებლობის ტრების ჩატარება საერთოდ, როგორც წესი, აკრძალულია და მხოლოდ ტყის სანიტარული, მოვლიანი და აღდგენითი ტრებია ნებადართული.

II ჯგუფის ტყეებში მეურნეობის მთავარი მიზანი, წარსულში უსისხვმო ტრების შედეგად გაჩეხრებული ტყეების აღდგენისა და მათი მწარმოებლობის ამაღლებაში მდგომარეობს. მართალია, ამ ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ტრების ჩატარება დაშვებულია. მაგრამ მერქნით სარგებლობის წლიური ოდენობა კორომის ყოველწლიურ ნამატს არ უნდა აღემატებოდეს.

III ჯგუფის ტყეებს, როგორც ეს პირველი ცხრილიდან ჩანს, სსრ კავშირის სახელმწიფო ტყის ფონდის თითქმის 80%-მდე უჭირავს. ამ ტყეებში მეურნეობის წარმოების ძირითადი მიმართულება მთლიანად ტყის სამრეწველო ექსპლუატაციის მიზნებისადმი დაქვემდებარებული ყველა გასახორციელებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიება, ტყის ექსპლუატაციის, ახალი სამრეწველო ტყის მასივების ათვისებისა და, საერთოდ, მერქანზე სახალაო მეურნეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენაა მიმართული.

1 სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებს შორის გაერთიანებული ტყეები

წეჩერდეთ საქართველოს სსრ ტყეების ჯგუფებად დაყოფაზე და მათში მეურნეობის წარმოების თავისებურებებზე.

საქართველოს, ტყით სიმდიდრის მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მისი ტყიანობა 36,7%.

საქართველოს ტყის ფონდი,—მასში მეურნეობის რაციონალურად წარმოების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილებით,—ორ ჯგუფადაა დანაწილებული. ტყის ფონდის აღრიცხვის უკანასკნელი (1961 წ. 1/1) მონაცემებით, ჩვენი რესპუბლიკის ტყის ფონდის საერთო ფართობი 2906200 ჰა-ს შეადგენს. აქედან, 2244500 ჰა სახელმწიფო სატყეო ფონდში შედის, ხოლო 596600 ჰა საკოლმეურნეო ტყეებს წარმოადგენს.

საქართველოს,—მთავარიანი რელიეფის გამო,—ტყეების ძირითადი ნაწილი მთისაა. ტყის ფონდის აღრიცხვის იმავე მონაცემებით (ცხრ. 2) რესპუბლიკის სახელმწიფო სატყეო ფონდის საერთო ფართობიდან (2244500 ჰა), 2190 ათასი ჰა, ანუ 97,57% I ჯგუფზე მოდის, ხოლო დანარჩენი 54500 ჰა (2,23%)—II ჯგუფზე.

ცხრილი 2

საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდის დანაწილება ჯგუფებისა და მიწის ძირითადი კატეგორიების მახედვით (1961 წ. 1 იანვრისათვის)

ტყეების ჯგუფი	საერთო ფართობი ჰა-ით	სატყეო ფართობი			არასატყეო ფართობი			
		ტყით დაფარული	ტყით დაუფარავი	სულ სატყეო ფართობი	სახმარი	განსაკუთრებული დანახმულულის ფართობები	გამოუყენებელი ფართობები	სულ არასატყეო ფართობი
I	2 190 000	1 978 600	97 600	2 076 200	51 400	2900	59200	113870
II	54500	44500	3500	48000	2200	300	4300	6500
სულ	2 244 500	2 023 100	101 100	2 124 200	53 600	3200	63500	120300

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყის ფონდის მთლიანი ფართობიდან (2 244 500 ჰა) 2124 200 ჰა, ანუ 94,64% სატყეო ფართობებია, ხოლო 120300 ჰა, ანუ 5,36% არასატყეო ფართობებს უკავია. სატყეო ფართობებიდან: ტყით დაფარულია 2006 600 ჰა, რაც სატყეო ფართობების 94,46%-ს შეადგენს. ტყით დაუფარავია 101 ათასი ჰა, ანუ 4,76%, ხოლო ასალგაზრდა ტყის კულტურებს, რომლებიც ჯერ ტყით დაფარულ ფართობებში არ არიან ჩარიცხული, 16500 (0,78%) ჰექტარი უკავია.

I ჯგუფის ტყის ფონდი, მიწის კატეგორიების მიხედვით, შემდეგნაირადაა დანაწილებული: I ჯგუფის მთლიანი (2190 ათასი ჰა) ფართობიდან სატყეო ფართობებს უკავიათ 2076 200 ჰა, ანუ 94,83%, ხოლო არასა-

ტყეოს 113 800 ჰა, ანუ 5,17%; სატყეო ფართობებიდან ტყით დაფარულ ფართობზე მოდის—1962900 ჰა (94,54%), ხოლო ტყით დაუფარავზე—97600 ჰა (4,7%); ახალგაზრდა კულტურებზე კი 15.700 ჰა (0,76%).

II ჯგუფის საერთო ფართობიდან (54500 ჰა) სატყეო ფართობზე 48000 ჰა-ს, ანუ 88,1%-ს შეადგენს, არასატყეო კი 6500 ჰა-ს (11,9%), სატყეო ფართობიდან ტყით დაფარულია 43700 ჰა (91%), ხოლო დაუფარავია 3500 ჰა (7,3%), ხოლო ახალგაზრდა კულტურებზე 800 ჰა (1,7%).

სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაფარული ფართობები და მარაგები მთავარ მერქნიან სახეობებს შორის შემდეგნაირადაა განაწილებული (ცხრ. 3).

საქართველოს სსრ სახელმწიფო სატყეო ფონდის ტყით დაფარული ფართობებისა და მარაგების განაწილება მერქნიანი სახეობების მიხედვით (1961 წ. 1 იანვრისათვის)

მერქნიანი სახეობები		ტყით დაფარული ფართობი ჰა-ში	მარაგის მოცულობა მძივებში	საერთო მოცულობა მძივებში
<b>1. წიწვოვანები</b>				
1	ფიჭვი . . . . .	72500	2,52	155,2
2	ხაფი . . . . .	119500	25,41	239,2
3	სოჭი . . . . .	200200	91,91	489,3
	<b>სულ . . . . .</b>	<b>392200</b>	<b>129,84</b>	<b>683,7</b>
<b>2. მაგარმერქნიანები</b>				
1	წიფელი . . . . .	1035800	194,11	137,2
2	მუხა მაღლარი . . . . .	131900	11,41	36,5
3	მუხა დაბლარი . . . . .	54100	2,97	54,9
4	ოცხილა . . . . .	119500	10,61	85,3
5	დანარჩენი მაგარმერქნიანები . . . . .	18.000	1,41	75,3
	<b>სულ . . . . .</b>	<b>1359300</b>	<b>220,51</b>	<b>162,2</b>
<b>3. რბილმერქნიანები</b>				
1	არყი . . . . .	39400	1,68	42,6
2	მურყანი . . . . .	59900	4,67	78,0
3	ვერხვი . . . . .	6900	0,54	75,2
4	ცაცხვი . . . . .	10100	1,47	145,5
5	დანარჩენი რბილმერქნიანები . . . . .	4800	0,26	54,2
	<b>სულ . . . . .</b>	<b>121100</b>	<b>8,62</b>	<b>71,5</b>
1	ბუჩქნარები . . . . .	32700	0,54	16,5
2	სხვა მერქნიანი სახეობები . . . . .	101300	10,79	101,5
	<b>მთლიანად ყველა მერქნიანი სახეობა . . . . .</b>	<b>2006600</b>	<b>370,63</b>	<b>184,7</b>

საქართველოს ტყეების ძირითადი დანიშნულება სახალხო მეურნეობისათვის მათი ნიადაგთადაცვითი, წყალდაცვითი და საკურორტო თვისებებით განისაზღვრება. ჩვენს ტყეებში მეურნეობის წარმოების ძირითად პრინციპს მერქნით სარგებლობის გადიდება კი არა, არამედ მათი ზემოაღნიშნული სასარგებლო თვისებების შენარჩუნება და გაუმჯობესება წარმოადგენს. ამიტომ მეურნეობის წარმოების რეჟიმი ამ თვისებების გაძლიერებას ემსახურება. ნართალია, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, საქართველოს I ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრები დაშვებულია, მაგრამ ტყის ექსპლუატაცია, ე. ი. მერქნით სარგებლობა, დამხმარე ხასიათს ატარებს და იგი მთლიანად ჩვენი ტყეების ძირითადი სახალხო-სამეურნეო დანიშნულებისადრე დაკვირვებად არღებულა.

საქართველოს I ჯგუფის ტყეებში შედის ისეთი კატეგორიის ტყეები ოთხორიკვა: ნაკრძალები, ძვირფასი ტყის მასივები, მწვანე ზონის ტყეები, სანრეწველო საწარმოთა და ქალაქთა გარშემო, აკრძალული ზოლები მდინარეების გასწვრივ და დაცვითი ზოლები რკინიგზებისა და გაზატყეცილების გაყოლებით, საკურორტო, ნიადაგთადაცვითი და წყალდაცვითი, დაცვითი-საექსპლუატაციო და საკოლმეურნეო მნიშვნელობის მთის ტყეები (ცხრ. 4).

ცხრილი 4

საქართველოს სსრ I ჯგუფის ტყით დაფარული ფართობების განაწილება

დანიშნულების მიხედვით

(1961 წ. 1 იანვრისათვის ჰა-ობითა და %-ობით)

კატეგორია	საქართველი	მწვანე ზონის ტყეები	საკურორტო ტყეები	ნიადაგთადაცვითი და წყალდაცვითი მნიშვნელობის ტყეები	აკრძ. ზოლები მდინარეების, ტბების და სხვ. წყალსაცავ-გარშემო	რკინიგზისა და გაზატყეცილ. გარშემო	დაცვითი-საექსპლუატაციო მნიშვნელობის ტყეები	სულ ტყით დაფარული ფართობი
ჰა	84600	124300	297700	672400	15800	5100	763000	1962900
%	4,3	6,3	15,2	31,3	0,8	0,2	38,9	100%

I ჯგუფის ტყეებში შედის ვაკის (კოლხიდის დაბლობის, ქიაურის, გოლუპინისა და სხვ.) ტყეები. მათი ძირითადი დანიშნულება კლიმატური, დაცვითი და საექსპლუატაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს.

განვიხილოთ ცალკეულ კატეგორიის ტყეებში მეურნეობის წარმოების ძირითადი პრინციპები:

1. ნაკრძალ ტყეებში (84 600 ჰა) მეურნეობის წარმოების რეჟიმს ნაკრძალების ბუნებრივი პირობების მთლიანი შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება განსაზღვრავს; ნაკრძალებში დაუშვებელია ტყის მთავარი და მთავარდროი სარგებლობა. დაშვებულია მხოლოდ ტყის სანიტარული ჭრა, რომელიც ნაკრძალი ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. ამ დროს მხოლოდ ისეთი დაავადებული და დაზიანებული

ხეები იჭრება, რომელთა ადგილზე დატოვება ნაკრძალისთვის რაიმე საღრ-  
თხეს წარმოადგენს. ამასთან ერთად, ნაკრძალში შესაძლებელია ისეთი ვა-  
დაბერებული ხეების მოჭრა, რომლებიც შემატებას აღარ იძლევიან ჯი-  
ჯის, დაახლოებით, ერთი მეოთხედი შემხმარი აქეთ. საქართველოს ნაკრძალ-  
თა შორის თავისი სიდიდით აღსანიშნავია ზორჯომისა და ლავრაში სა-  
ხელმწიფო ნაკრძალები.

2. ძვირფასი ტყის მასივებში მეურნეობის წარმოების რევი-  
რების მათი შენარჩუნება და სანიმუშო ნდგონარვითაა მოხდენილი. მათი რე-  
გენს. საქართველოში მოიპოვება ტყის ისეთი ძვირფასი სახეობები, როგორ-  
ცაა უთხოვრის, ბხის, ბიკინთის ფიჭვისა და სხვათა კარგად მოხუცე-  
ბიკ ბუნების ძველებად არიან გამოცხადებული. რაიმე უნდა იქნას  
ძვირფასი მერქნის სახეობების კორომების საფრთხიდან დაცვა. ზოგი-  
ჯობებს მისი მიწვევით კორომებში დაშვებულია მხოლოდ ისეთი ხე-  
ტარება, ხოლო ახალგაზრდა, შუანისა და მოწვევით მოხუცებული ხე-  
აღმზრდელობითი ტრები.

3. მწვანე ზონის ტყეებში (124300 ჰა). რაიმე უნდა იქნას  
საწარმოთა, დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების გაშენების  
გეგმული, მეურნეობის წარმოების მიზანს მათი საწარმოების  
და ესთეტიკური პირობების შენარჩუნება და გაძლიერება შედეგების  
ნის სიდიდით სამრეწველო ცენტრისა და დასახლებული ადგილების  
მნიშვნელობასა და სიდიდითა და მოკიდებული. მაგალითად, მათ  
მწვანე ზონის რადიუსი 50 კმ-ია, ხოლო თბილისისათვის მანძილი  
ნის ტყეები წარმოადგენენ ქალაქებისა და დასახლებული ადგილების  
ლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დასვენების  
ამიტომ მათ, განსაკუთრებით კი ახლო ზონის ტყეებს, აწარმო-  
მნიშვნელობაც ენიჭებათ.

მწვანე ზონის ტყეებში მეურნეობა იმგვარად უნდა ეწარმოება, რომ  
ჯანსაღი, მაღალმწარმოებლური და ესთეტიკური ადგილების მიხედვით  
ფასი ტყის მასივები შეიქმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ პუნქტ-  
მელთა საუკეთესო და კულტურულ დასვენებას.

4. აკრძალული და დაცვითი ზოლები. მთავარი ზოლები  
განწრივ, ორივე მხარეზე, 250 მ სიგანეზე გამოიყოფა აკრძალული  
და მათი ფართობი სულ 15800 ჰა შეადგენს. რიჩიგზების გაყოფის  
ვითი ზოლების სიგანე ორივე მხარეზე 250 მეტრია, ხოლო ვაიკის  
125 მეტრი. ამ დაცვითი ზოლების საერთო ფართობი 3100 ჰა-ზე  
და დაცვითი ზოლებში ტყის მეურნეობის მთავარ ამოცანას  
ფუნქციების შენარჩუნება და გაძლიერება წარმოადგენს.

5. საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში (120000 ჰა) მე-  
ურნეობის წარმოების რევიმში ამ ტყეების კურორტული ღირ-  
პიგიური და ესთეტიკური პირობების გაუმჯობესებასა და მათი

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ ქვემოთ  
მრავლად მოიპოვება კლიმატური, ბალნეოლოგიური და სხვა  
ტები, რომელთა სამკურნალო თვისებები დიდადაა აღიარებული.

შენი აზრებულ ტყეებზე. საკურორტო ტყეებს ჰავის მარეგულირებელი, ესთეტიკური და ბალნეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ; ისინი, მშრომელთა მკურნალობასა და კულტურული დასვენების კერებს წარმოადგენენ. საკურორტო ტყეებში მკურნეობის წარმოებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, აგრეთვე ის, რომ ამ ტყეებს, აღნიშნული თვისებების გარდა, შესაძლებელია სხვა ფუნქციების შესრულებაც ჰქონდეთ წაყენებული: კერძოდ, ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი (განსაკუთრებით, მინერალური წყლების დებეტის რეგულირება) და სხვ. ასეთ შემთხვევაში, საკურორტო ტყეების ორგანიზაციისას ყველა ეს მოთხოვნა მიხედვლობაში უნდა იქნეს მიღებული და მკურნეობა იმ გზით უნდა წარიმართოს, რომ უზრუნველყოთ ამ ფუნქციების მაქსიმალური შენარჩუნება-გაძლიერება.

6. ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი მნიშვნელობის (672400 ჰა) მთის ტყეებში მკურნეობის წარმოების მიზანი ამ ტყეების ნიადაგდაცვის, წყალდაცვისა და წყალმარეგულირებელი ფუნქციების შენარჩუნებასა და გაძლიერებას ექვემდებარება.

ამ ტყეების ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს ეროზიული პროცესების თავიდან აცილებასა და მდინარეებისა და წყაროების რეჟიმის მუდმივობის შენარჩუნებაში.

7. დაცვით-საექსპლუატაციო მნიშვნელობის ტყეებს (763 000 ჰა) მთის ფერდობებზე განლაგებული ტყის ის მასივები მიეკუთვნება, რომელთაც ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი ფუნქციების გარდა, კორომების მაღალი მწარმოებლობის გამო, საექსპლუატაციო მნიშვნელობაც ენიჭებათ. აქ ერთნაირად შენარჩუნებულია ტყეების, როგორც დაცვითი, ისე საექსპლუატაციო მნიშვნელობა. თუმცა ტყეების ექსპლუატაციის მოთხოვნილებები, ყოველთვის ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ექვემდებარება. ამიტომ, მკურნეობის წარმოებას დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეს გარემოება და ტყეების ექსპლუატაცია იმგვარად უნდა ვაწარმოოთ, რომ მან ამ ტყეების დაცვითი ფუნქციების გაუარესება არ გამოიწვიოს.

8. საკოლმეურნეო მნიშვნელობის მთის ტყეების ძირითადი დანიშნულება ნიადაგდაცვითსა და წყალდაცვით თვისებებში გამოიხატება. ამის გარდა, ამ ტყეებში უნდა უზრუნველყოთ კოლმეურნეობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მერქნის ნაირგვარ პროდუქტთაზე.

ამიტომ, ამ ტყეებში მკურნეობა იმგვარად უნდა ვაწარმოოთ, რომ კორომების ყოველთვის ხასიათდებოდნენ ნაირხნოვანებით, რაც კოლმეურნეობებს მერქნის სხვადასხვა საჭირო სორტიმენტის მიღების საშუალებას მისცემს.

საქართველოს სსრ ტყის ფონდში II ჯგუფის ტყეები მცირე ოდენობით (154 500 ჰა, ანუ 2,23%) არის წარმოდგენილი; ამ ტყეებს, როგორც ზევით აღნიშნულთ. ვაკის ტყეები (კოლხეთის, სიღნაღის, გარდაბნისა და სხვ. სატყეო მკურნეობები) შეადგენენ. ამ კატეგორიის ტყეების ძირითად ნაწილს კოლხეთის დაბლობის ტყეები წარმოადგენენ, სადაც საშეშე და სამასალე მერქანზე სახალსო მკურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ნებადართულია ვიწროტყეკათი პირწმინდა კრები. მართალია,

ამ ტყეებიდან მიღებული მურყნის მერქანი, ძირითადად, საშუალოდ გამოიყენება, მაგრამ უკანასკნელ ხანს ერთგვარად გაიზარდა მისი გამოყენება ქალაქის წარმოებაში. ამ ჯგუფის ტყეებს ალაგ-ალაგ მდინარეთა ნაპირსაცავი და ქარსაცავი მნიშვნელობაც აქვთ, რაც მეურნეობის წარმოებისა და ქრის ორგანიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

თ ა ვ ი II

**ტყის მეურნეობის ფორმები**

ტყის მეურნეობის ფორმა, საერთოდ, მეტყვეობითი სტრუქტურის ისეთ ერთიანობაზეა ეფუძნება, რომელიც უზარუნველყოფს კონკრეტულ ტუნებრივსა და ეკონომიურ პირობებში სატყეო მეურნეობის წინაშე დაყენებული ამოცანების დროულად და მაღალხარისხიანად შესრულებას.

ტყეთმომწყობის თეორია და პრაქტიკა ტყის მეურნეობის ფორმებს შემდეგ ჯგუფებად ყოფს:

- I — ტყის მეურნეობის ფორმები კორონის წარმოშობის მიხედვით;
- II — ტყის მეურნეობის ფორმები ტყის ტრის წესების მიხედვით;
- III — ტყის მეურნეობის ფორმები კორონის საქონლიანობის მიხედვით, განვიხილოთ თითოეული:

I — ჯგუფი — მეურნეობის ფორმები კორონის წარმოშობის მიხედვით იყოფიან: მაღლარ (მაღალღეროიან), დაბლარ (დაბალღეროიან) და საშუალო (შერეული) მეურნეობების ფორმებად.

მაღლარი მეურნეობის ფორმა, მხოლოდ თესლით ნიტებული კორონებისთვისაა დამახასიათებელი. წიწვოვანები მხოლოდ მაღლარი, ხოლო ფოთლოვანები როგორც მაღლარი, ისე დაბლარი მეურნეობის ფორმებსა ქმნიან. მაღლარი მეურნეობაში კორონები კარგი მდგომარეობითა და მაღალი მწარმოებლობით ხასიათდებიან, ვიდრე დაბლარ მეურნეობაში. თესლით მიღებული კორონები მართალია, პირველ ხანებში შედარებით უფრო ნელა იზრდებიან, ვიდრე ამონაყრითი, ანუ დაბლარი მეურნეობის პირობებში. მაგრამ მაღლარი კორონები უფრო დიდხანს ცოცხლობენ და, გარკვეული სწოვანების შემდეგ, ისინი სატაქსაციო მაჩვენებლებით არა მარტო უტოლდებიან მათ, არამედ უსწრებენ კიდევ. შედარებისთვის მოიყვანოთ მარაგების ცვლა თესლით და ამონაყრითი მუხნარებისათვის ხნოვანებასთან დაკავშირებით, რომელიც ამოღებულია ნ. ტრეტიაკოვისა და სხვ. (1950 წ.) წიგნიდან „Сравночии: таксатора“.

თესლით და ამონაყრითი მუხნარის მწარმოებლობა ხნოვანების მიხედვით

კორონის წარმოშობა	ხ ნ ო ვ ა ნ ე ბ ა					
	20	30	40	50	60	70
	კორონის შალავი მ.ა.ბ.ა.					
თესლითი	100	200	314	420	520	620
ამონაყრითი	115	203	285	370	450	530

როგორც ცხრილიდან ჩანს 30 წლამდე ამონაყრითი მუხნარის მწარმოებლობა უფრო მაღალია, ვიდრე თესლით მიღებულისა, მაგრამ 30 წლის ხნოვანებაში ორივე კორომის მწარმოებლობა უკვე ერთმანეთის ტოლია და შემდეგ კი მათ შორის სხვაობა, თესლითი კორომის სასარგებლოდ, თანდათანობით ნატულობს.

მაღლარ მეურნეობაში კორომები, ძირითადად, მსხვილი ზომის სორტიმენტების მისაღებად არიან განკუთვნილი. დაბლარ მეურნეობაში კი წვრილი და საშუალო ზომის სამასალე სორტიმენტები და შემა მზადდება.

დაბლარი მეურნეობა, რომელიც ამონაყრითი კორომებისაგან იქნება, ჩვეულებრივ, პირწმინდა ჭრების შედეგია და ასეთ პირობებში მეურნეობის წარმოება უფრო მარტივი და მოსახერხებელია, ვიდრე თესლით. ანუ მაღლარ მეურნეობაში.

დაბლარი მეურნეობის წარმოება, უფრო მეტად, დაბალი ბონიტეტის ნიადაგებზეა მიზანშეწონილი, რადგან, ასეთ შემთხვევაში, მეურნეობის მიზანს მერქნის წვრილობი სორტიმენტების მიღება წარმოადგენს; ხოლო მაღალი ბონიტეტის ნიადაგებზე მაღლარი მეურნეობა წარმოებს, სადაც მერქნის მსხვილობი სორტიმენტების დამზადება ხდება. ამიტომ ყველა შემთხვევაში მაღლარი, ანუ თესლითი კორომების შექმნა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე დაბლარი, ანუ ამონაყრითი კორომებისა.

საქართველოს ტყეებში, ძირითადად, მაღლარი მეურნეობა წარმოებს. დაბლარ მეურნეობას ჩვენში, უმთავრესად, II ჯგუფის ტყეებში აქვს ადგილი, რომლებიც, უმეტესად, ამონაყრითი კორომებითაა წარმოდგენილი.

კორომის წარმოშობის მიხედვით მეურნეობის ფორმის მესამე სახეს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საშუალო, ანუ შერეული მეურნეობის ფორმა შეადგენს. იგი მაღლარი და დაბლარი მეურნეობების კომბინირებაა და იმით ხასიათდება, რომ ერთსა და იმავე კორომში (რასაკვირველია, ფოთლოვანში) გვაქვს, როგორც თესლითი ისე ამონაყრითი წარმოშობის ხეები, რომელთათვისაც ცალ-ცალკე ისაზღვრება მეურნეობის წარმოების მიზანი. მეურნეობის ეს ფორმა სსრ კავშირში თითქმის არ გამოიყენება.

II ჯგუფი — მეურნეობის ფორმები ტყის ქრის წესების მიხედვით, ძირითადად, ორ ქვეჯგუფად იყოფიან: მეურნეობის ტყეაფითსა და ამორჩევით ფორმებად. გარდა ამ ქვეჯგუფებისა არსებობს კიდევ ერთი ე. წ. მეურნეობის რთული ფორმა, რომელიც გარდამავალია მეურნეობის ტყეაფითსა და ამორჩევით ფორმებს შორის, ე. ი. შესაძლებელია სატყეო მეურნეობაში გვექნდეს, როგორც ტყეაფითი ისე ამორჩევითი მეურნეობის ფორმები. ეს ფორმა, სპერთოდ, პრაქტიკაში ძლიერ იშვიათადაა გამოყენებული.

1. მეურნეობის ტყეაფითი ფორმები. ამ ფორმების გამოყენებისას დამსაფუძვლი მერქნის ყველა სორტიმენტის გასაღების პირობები უნდა იყოს შექმნილი. ტყეაფითი ფორმები თავის მხრივ, იყოფიან: ა) პირწმინდატყეაფითი, ბ) თესლითტყეაფითსა და გ) ამორჩევითტყეაფით მეურნეობებად.

ა) მეურნეობის პირწმინდა ტყეაფითი ფორმის მეტყეაფითი ტყეაფითი საფუძველს წარმოადგენს პირწმინდა ჭრები და ტყის ქრა

ტყევაზე ერთჯერად და მთლიანად ხდება. მეურნეობის ეს ფორმა შეიძლება იყოს ვიწრო ტყეკაფითი და განიერ ტყეკაფითი. ვიწრო ტყეკაფითი მეურნეობის პირობებში ტყის განახლება მოჭრილ ფართობებზე, სოფლის დად, მომიჯნავე ტყის კედლებიდან მოთესვამა დაკუნძულებული. სხვა ტყეების სიგანე ამ ფორმის დროს 250 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს. წვეწვანის ეს ფორმა II ჯგუფის ტყეებისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოს პირობებში მას ფართო გამოყენება აქვს კოლხეთის დაბლობის ტყეებში. ამ მეურნეობის კორომებში კრები ვიწრო ტყეკაფებზე წარმოება, რომელიც სიგანე შეიძლება იყოს 25-50-100 მეტრი.

განიერ ტყეკაფითი მეურნეობის ფორმა III ჯგუფის ტყეებში გამოიყენებული, სადაც ტყეების ექსპლუატაცია კონცენტრირებულია ტყის ნაწილზე ხსიითს ატარებს. ტყეკაფების სიგანე იე-ტყის კონსტრუქციის განსაზღვრებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, იე-ტყის რეინტენსიფიკაციის მიზნით სიგანისას, კრის წესების მიხედვით, ტყეკაფის სიგანე 1 კმ-ის, ხოლო იე-ტყის სიგანე - 0,5 კმ.

ბ) თესლით ტყეკაფითი მეურნეობის ფორმის მეტყეობის ტექნიკური საფუძველი თანდათანობითი კრებია და ტყის კონსტრუქციის არამედ რამდენიმე ჯერად მიმდინარეობს. კორომის განახლება სუბსოციის ხდება და განახლების პერიოდი, ჩვეულებრივ, 10-20 წელს არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომ კრის შემდეგ მიღებული კორომის თაობა ერთობადაა შენობა.

მეურნეობის ამ ფორმის წარმოება უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე პირწმინდა ტყეკაფითი მეურნეობისა. ამასთან, იგი ტყის ექსპლუატაციის თვალსაზრისით ნაკლებმომსახურებელია, რადგან ერთსა და იმავე ფართობზე ტყის კრა რამდენიმეჯერ წარმოებს.

თესლით ტყეკაფითი მეურნეობის ფორმა ფართოდ არის გავრცელებული მთის ტყეებში; მისი წარმოებისას შესაძლებელი ხდება ამ ტყეების ნადავთადაცვლითი, წყალდაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნება. საქართველოში, ამ მეურნეობის წარმოება რეკომენდებულია I ჯგუფის ტყეების ნაენარ-სოჭნარებში, ფიჭვნარებში, წიფლნარებსა და მუხანარებში, ხოლო II ჯგუფის ტყეებში - მუხნარ-თელნარებში.

გ) ამორჩევი ტყეკაფითი მეურნეობის ფორმა ჯგუფურ-ამორჩევი კრებზეა დაფუძნებული. ფართობზე ტყის კრა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში წარმოებს ტყის კალთის გარათანაბარი გათხელები, ყალბალეში (ფანჯრებში), არსებული მონარდის გამოყენებით. ტყის გაააღწევა ბუნებრივად მიმდინარეობს და მისი პერიოდი ერთობლივად პირდაპირად ლურად შეკრული კორომისთვის, ჩვეულებრივ, 15-20 წელს არ აღემატება, ხოლო ნაირსხვანი ვერტიკალურად შეკრული კორომისთვის 30-40 წელს. მეურნეობის ეს ფორმა ისე, როგორც თესლით ტყეკაფითი, გამოიყენება ნადავთადაცვლითი, წყალდაცვითი და სხვა დანიშნულების ტყეებში. იგი, როგორც ნაენარ-სოჭნარებში, საქართველოში იგი რეკომენდებულია I ჯგუფის ნაენარ-სოჭნარებში, ფიჭვნარ-ნაენარებსა და წიფლნარებში.

2. ამორჩევი მეურნეობის ფორმები ორი სახისაა: ა) ბუნებრივი და ექსტენსიურ-ამორჩევი მეურნეობები.

ა) ინტენსიურ-ამორჩევი მეურნეობის ტყის დანიშნულება უმეტესად ყოველგვარი (წერილი, საშუალო, მსხვილი) ნაძვის სარეზინო-განახლება;

2. გ. ვიგაურო

1842

იგი წესით ამორჩევით კრაზეა დაფუძნებული და ტყის კრა ყველა ზომის ხეებზე ვრცელდება. პირველ რიგში გამზნაოი, მომაკვდავი, დაავადებული, დაბრეცილდეროიანი და იაფფასიანი ხეები იჭრება, რომლებიც მთავარი სახეობის განახლება და მოზარდის ნორმალურ ზრდავანეთარებას უშლიან ხელს. ტყის კრა 3—5 ან 10 წელიწადში, ანუ სარევიზიო პერიოდში, ერთხელ მაინც იღება. ტყის საექსპლუატაციო სამუშაოების წარმოება შედარებით რთულია. ამ მეურნეობის პირობებში კორომები ნაირხნოვანი აღნაგობით ხასიათდებიან. საქართველოში ინტენსიური მეურნეობის ფორმა წარმოადგენს ძირითადად და წამყვანს, რადგან ყველაზე უკეთესად იგი პასუხობს საქართველოს ტყეების აღნაგობისა და მათი ძირითადი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების (დაცვითი, საკურორტო და სხვ.) შენარჩუნებისა და გალიერების ამოკანას. საქართველოს ნაირხნოვანი და რთული აღნაგობის კორომებში ინტენსიური მეურნეობის წარმოებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ე. კომპლექსური ჭრების ჩატარებას. ამ ჭრების ჩატარების დროს შესაძლებელია ერთსა და იმავე კორომებში წარმოებულ იქნეს, როგორც შუალედი, ისე მთავარი სარგებლობა, ე. ი. ერთდროულად წარმოებს მოვლითი და მთავარი სარგებლობის კრა. ამ ჭრების უპირატესობა, ჯერ ერთი, იმაში განიხილება, რომ ფართობის ერთეულზე მეტქნით სარგებლობის აღდგობა იზრდება, ხოლო მეორე მხრივ, მოვლითი ჭრების წესიერად ჩატარებით მეურნეობა ხელს უწყობს სასურველი მეტქნიანი სახეობის მომავალი თაობის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ამით კი მთლიანად კორომის მწარმოებლობის, ანუ პროდუქტიულობის შემდგომ ამაღლებას.

ბ. ექსტენსიურ-ამორჩევითი მეურნეობის ფორმა ისეთი ტყის ნასივებისათვის არის დამახასიათებელი, სადაც მეტქნის ყველა ზომის სორტიმენტის გასაღების საშუალება არ არის და წვრილი სორტიმენტების დამზადება ეკონომიურად არაონებამეურნეობა. მეურნეობის ამ ფორმის მეტყვეობით-ტექნიკურ საფუძველს უნებურ-ამორჩევითი, ანუ სამრეწველო-ამორჩევითი ჭრები წარმოადგენენ. ექსტენსიური მეურნეობის წარმოებისას, ძირითადად, მსაჯილი ზომის სორტიმენტები მზადდება, რის გამოც მას, ხშირად, მსგავსსაქონლო მეურნეობასაც უწოდებენ. ფართობის ერთეულზე მოსაჭრელი მეტქნის აღდგობა ხეების გასაცემი დიამეტრის მინიმალურ სიდიდებზეა დამოკიდებული: რაც უფრო დაბალია ხე-ტყის მოჭრის მინიმალური დიამეტრი, მით უფრო ნეტი სეები მოიჭრება 1 ჰექტარზე და პირქვეთ. გ. მოტოვილობის (15-20 წ.) ნიადაგით, ამ ჭრების წარმოებისას საშუალოდ მთელი მარაგის 25—35% იჭრება. თუმცა საქართველოს პირობებში იგი ხშირად 40—45% აღწევს.

ექსტენსიურ-ამორჩევითი მეურნეობის წარმოებას, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს პირობებში, საქმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. წარსულში, ინტენსიურის სოციალისტურ რევოლუციამდე, პრივ. მ. თორლოვის გაანგარიშებით, რუსეთის ევროპული ნაწილის ტყეებში ექსტენსიურ-ამორჩევითი მეურნეობის უაასლოდობა 55 მლნ. დესეტინაზე წარმოებდა. მთელი სახანო ტყეებისათვის ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ მეურნეობის წარმოება შედარებით მარტივი და ნაკლებსრომარტეადი იყო. ძირითადი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ მისი წარმოების შედეგად ტყის მრეწველებს საშუალება ეძლეოდათ კორომებიდან გამოეღოთ ყველაზე მაღალი ხარისხის მეტქანი, რომელიც ხე ტყის მსოფლიო ბაზრებზე საკმაოდ ძვირად ფასდებოდა.

წარსულში, საქართველოშიც, ჩვენი ცვირფასი ტყის მასივების სამრეწველო ათვისება უმთავრესად მეურნეობის ამ ფორმის საშუალებით ხდებოდა. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხე-ტყის ექსპლუატაციას უცხოეთის ტყის მრეწველების კონტრესიები აწარმოებდნენ, ისინი უღმობლად ჩებდნენ ზემო რესპუბლიკის ძვირფას ტყის მასივებს.

ექსტენსიურ-ამორჩევითი მეურნეობის წარმოება, საერთოდ, მიზანშეწონილი არ არის; იგი საბოლოო ჯამში იწყვეს ტყეების სარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებას. ტყეში საუკეთესო ხეების ეგზემპლარები იჭრება და ადგილზე მხოლოდ წვრილი და უვარგისი მსხვილ ზომის ხეები რჩება. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში, მისი გამოყენება აუცილებელი იდება. სსრკავშირში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ტყის ისეთი მასივები, რომლებიც სამრეწველო ცენტრებიდან და მერქნის გადასაცემსა და წარმოებასაც საქეო დიდი მანძილით დაშორების გამო, სატყეო მრეწველობის წიგრ ნაკლებად ან სულ არ არიან ათვისებულნი: იქ პირობები და ეკოლოგიური წყურნეობის წარმოება ეკონომიური თვალსაზრისით გაუმართლებელია. ვინაიდან უველ ზომის სორტიმენტის რეალიზაციის საშუალება არ არის, ამიტომ, სხვა ადგილებში, უფრო მიზანშეწონილი და რენტაბელურია ექსტენსიურ-ამორჩევითი ანუ მსხვილსასაქონლო მეურნეობის წარმოება.


საქართველოში ექსტენსიურ-ამორჩევითი მეურნეობის წარმოება მიზანშეწონილია შორეულ ტყის ისეთ მასივებში, სადაც მერქნის წვრილი და საბეტონო ზომის სორტიმენტების დამზადება არარენტაბელურია. საქართველოს დაცვითი საექსპლუატაციო მნიშვნელობის ტყეების შორეული უბნების სამრეწველო ათვისება (ზემო სვანეთი, აფხაზეთი და სხვ.), ძირითადად, ამ მეურნეობით წარმოებს. ეს გარემოება, რასაკვირველია, ტყეების საერთო მდგომარეობას გარკვეულ უარყოფით დაღს ასვანს, მაგრამ რესპუბლიკის მთის ტყეებში სატყეო ექსპლუატაციისა და სატყეო მრეწველობის განვითარების დღევანდელი დონე, ამგანად, სხვა უფრო სრულყოფილი და რაციონალური მეურნეობის წარმოების საშუალებას არ იძლევა. მომავალში, როცა უზრუნველყოფილი იქნება მთის ტყეების ექსპლუატაციისა და სატყეო მრეწველობის დონის შემდგომი ამაღლება, ე. ი. შესაძლებელი გახდება შორეულ უბნებში მოჭრილი და დამზადებული მერქნის როგორც წვრილი და საშუალო, ასე მსხვილი ზომის სორტიმენტების რეალიზაცია, მაშინ ექსტენსიურ-ამორჩევითი მეურნეობის ფორმა უფრო რაციონალურმა და რენტაბელურმა ინტენსიურ-ამორჩევითმა ფორმამ უნდა შეცვალოს.

ამ მიზნით, საქართველოს ტყით მდიდარ რაიონებში, სადაც ტყეების სამრეწველო ხასიათის ექსპლუატაცია წარმოებს, მიზანშეწონილია უნდა ჩაითვალოს ნიკრე და საშუალო სიმძლავრის ხე-ტყის გადასამუშაებელი წარმოების მოწყობა, რომლებიც ადგილზევე უსრულველყოფიან წვრილი და საშუალო ზომის მერქნის სორტიმენტების სათანადო გადაამუშავებას.

III ჯგუფი — მეურნეობის ფორმები საქონლიანობაშია. აქ ხე დვით: საქონლიანობის მიხედვით, მეურნეობის სირიადი კლასიფიკაცია: ა) მსხვილსასაქონლო და ბ) წვრილსასაქონლო.

ა) მსხვილსასაქონლო: მეურნეობისთვის ადგილზედ მზახს მაღალი და საშუალო (I—II—III) ბონიტეტისა და კარგი ვითარების კობრები შეადგენს. ამ შემთხვევაში, მეურნეობის წარმოებას სხვა მსხვილზომი

სკის ბუღალტრობის ფორმების სკემა \*



\* სკის ბუღალტრობის ფორმების სკემა - "სკის ბუღალტრობის ფორმების სკემა", 1958 წლის 1-ლი ნომერი.

და მალახარისხოვანი სამსაღე სორტიმენტები წარმოადგენენ. მსხვილ-სასაქონლო მეურნეობის პირობებში ტყის ჭრის ხნოვანება უფრო მაღალია, ვიდრე წვრილსასაქონლო მეურნეობაში. მართალია, ამ მეურნეობაში

აღიარებულნი არიან მსხვილი ზომის სორტიმენტების დამზადება "ნეაღგეს, მაგ. რ. მ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მეურნეობის პირობებში საშუალო და წვრილ-

ლი ზონის სორტიმენტების მიღება არ შეიძლებოდა. ხეულა კონკრეტულ შემთხვევაში, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად, მსხვილ-სასაქონლო მეურნეობაში წერილი და საშუალო ზონის სორტიმენტების დამზადება ხდება.

ბ) წერილსა და საქონლო მეურნეობის წარმოების ბაზას. ჩვეულებრივ, დაბალი (IV—V) ბონიტეტის კორომები წარმოადგენს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მისი წარმოება შესაძლებელია საშუალო და მაღალი ბონიტეტის კორომებშიც.

საქართველოს ტყეებში წარმოდგენილია როგორც მსხვილ, ისე წერილ-სასაქონლო მეურნეობის ფორმები, უმთავრესად კი პირველი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ტყის მეურნეობის კორომები შევნიშნავთ რად შეიძლება შემდგენიარად წარმოვიდგინოთ მათი სტრუქტურა.

თ ა ვ ი ი

### ტყის სიმწიფე

$$A = \frac{a_1 S_1 + a_2 S_2 + a_3 S_3 + \dots + a_n S_n}{S}$$

სადაც  $A$  არის კორომის საშუალო ხნოვანება,

$a_1, a_2, a_3, \dots, a_n$  - თითოეული ხნოვანების კლასის საშუალო ხნოვანება,

$S_1, S_2, S_3, \dots, S_n$  - თითოეული ხნოვანების კლასის კორომის ფართობი,

$S$  - ყველა ხნოვანების კლასის კორომების მთლიანი ფართობი.

მოყვანილი ფორმულის მიხედვით გავიანგარიშოთ კორომის საშუალო ხნოვანება.

მაგალითი 1. ვთქვათ, გვაქვს ნაძვის მუცრუნოვანი თიხის კლასი ფართობი ( $S$ ) = 2600 პა-ს და კორომები ხნოვანების კლასებად დაჯერებულია ნაირადაა განაწილებული:

ხნოვანების კლასი	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საშუალო
ფართობი პა-ობით	400	600	400	500	400	200	100	2600

წინასწარ ვიცით, რომ ნაძვისძვიის თითოეული ხნოვანების კლასის საშუალო ხნოვანება 20 წელს უდრის, ამის შესაბამისად თითოეული ხნოვანების საშუალო ხნოვანება იქნება:  $a_1 = 30$  წ. (II კლ. 21—40 წ.),  $a_2 = 50$  წ. (III კლ. 41—60 წ.),  $a_3 = 70$  წ. (IV კლ. 61—80 წ.),  $a_4 = 90$  წ. (V კლ. 81—100 წ.),  $a_5 = 110$  (VI კლ. 101—120),  $a_6 = 130$  (VII კლ. 121—140) და  $a_7 = 150$  (VIII კლ. 141—160), ხოლო ფართობები ტოლია:  $S_1 = 400$  პა,  $S_2 = 600$  პა,  $S_3 = 400$  პა,  $S_4 = 500$  პა,  $S_5 = 400$  პა,  $S_6 = 200$  პა და  $S_7 = 100$  პა. მაშასადამისად ფართობი  $S = 2600$  პა-ს. ჩავსვათ აღნიშნული მაჩვენებლები შემოთავაზებული ფორმულაში და მივიღებთ, რომ ყველა კორომის საშუალო ხნოვანება

$$A = \frac{30 \cdot 400 + 50 \cdot 600 + 70 \cdot 400 + 90 \cdot 500 + 110 \cdot 400 + 130 \cdot 200 + 150 \cdot 100}{2600} = \frac{200,000}{2600} = 77 \text{ წელს, ანუ ხნოვანების IV კლასის.}$$

მაგალითი 2. ვთქვათ, გვაქვს მურყნის მურყნობა 600 პა-ის ფართობით და კორომები ხნოვანების კლასებად დანაწილებულია შემდეგნაირად:

ხნოვანების კლ.	I (1—10 წ.)	II (11—20 წ.)	III (21—30)	IV (31—40)	საშუალო
ფართობი პა-ობით	200	200	100	100	600

მაშინ მურყნობაში წარმოდგენილი კორომების საშუალო ხნოვანება შევამოყვანილი ფორმულით იქნება  $A = \frac{5 \cdot 200 + 15 \cdot 200 + 25 \cdot 100 + 35 \cdot 100}{600}$

$$= \frac{10,000}{600} = 16,6 \text{ წ., დამრგვალებით 17 წელი, ანუ ხნოვანების II კლასის.}$$

კორომის საშუალო ხნოვანება შეიძლება შემდეგი გაანგარიშებითაც გავსაზღვროთ: მურყნობის თითოეული ხნოვანების კლასის კორომის ფართობი ცალ-ცალკე უნდა გავამრავლოთ ხნოვანების კლასის საშუალო ხნოვანებით შეფუკილობით და გავყოთ მთლიან ფართობზე.

მაგალითი 3. ავიღოთ ნაძვის იგივე მუცრუნოვანი თიხის კლასი მაგალითშია მოცემული, სადაც კორომები ხნოვანების კლასებად დაჯერებულია შემდეგი სახით:

ხნოვანების კლასი	II	III	IV	V	VI	VII	VIII	სულ
ფართობი ჰა-ობით	400	600	400	500	400	200	100	2600.

საშუალო ხნოვანების დასადგენად II კლ. კორომის ფართობი (400 ჰა) უნდა გავამრავლოთ 2-ზე, ე. ი. ხნოვანების კლასის რიცხვზე, III კლასის —  $600 \times 3$ , IV კლასის —  $400 \times 4$ , V კლასის —  $500 \times 5$ , VI კლასის —  $400 \times 6$ , VII კლასის —  $200 \times 7$  და VIII კლასისა —  $100 \times 8$ ; გამრავლების შემდეგ, ცალკეული ნამრავლის ჯამი იკრიბება და მეურნეობის კორომების მთლიან (2600 ჰა) ფართობზე იყოფა. სახელდობრ,  $400 \times 2 = 800$ ,  $600 \times 3 = 1800$ ,  $400 \times 4 = 1600$ ,  $500 \times 5 = 2500$ ,  $400 \times 6 = 2400$ ,  $200 \times 7 = 1400$  და  $100 \times 8 = 800$ , მათი ჯამი იქნება:  $800 + 1800 + 1600 + 2500 + 2400 + 1400 + 800 = 11300$ ; მიღებული ციფრი (11300) უნდა გავყოთ მთლიან ფართობზე, ე. ი. 2600. გაყოფის შედეგად ( $11300 : 2600 = 4,3$ ) მივიღეთ რიცხვი, რომლის მთელი (4) ხნოვანების კლასის რიცხვს გამოხატავს, ხოლო მეთათედი (3) კოეფიციენტი, რომლის თითოეული მეთათედი თესლის კორომებში 2 წელს გამოხატავს, ხოლო ამონაყრითში 1 წელს. მაშასადამე, კორომის საშუალო ხნოვანება ამ შემთხვევაში ტოლია IV-ის, ანუ 76 წლის (ხნოვანების IV კლასის საშუალო ხნოვანებას 70 წელს მიემატა კოეფიციენტის (3) მნიშვნელობა 6 წელი).

მარაგის მიხედვით კორომის საშუალო ხნოვანების განსაზღვრა ხდება ფორმულით:

$$A = \frac{a_1 M_1 + a_2 M_2 + a_3 M_3 + \dots + a_n M_n}{M_1 + M_2 + M_3 + \dots + M_n},$$

სადაც  $a_1, a_2, a_3, \dots, a_n$  არის თითოეული ხნოვანების კლასის საშუალო ხნოვანება.

$M_1, M_2, M_3, \dots, M_n$  — თითოეული ხნოვანების კლასის კორომის მარაგი.

მაშასადამე, თითოეული ხნოვანების კლასის საშუალო ხნოვანება უნდა გავამრავლოთ იმავე ხნოვანების კლასის კორომის მარაგზე, მათი ნამრავლები შევკრიბოთ და გავყოთ ცალკეული კორომების მარაგების მთლიან ჯამზე, ე. ი. ვიქცევით ისევე, როგორც ფართობების მიხედვით საშუალო ხნოვანების გაანგარიშების დროს; განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ფართობების მაგიერ გვაქვს მარაგები.

კორომის საშუალო ხნოვანების დადგენა, შესაძლებელია აგრეთვე კვეთის ფართობების მიხედვით. საამისოდ გამოიყენება ფორმულა:

$$A = \frac{a_1 g_1 + a_2 g_2 + a_3 g_3 + \dots + a_n g_n}{EG},$$

სადაც  $a_1, a_2, a_3, \dots, a_n$  არის თითოეული ხნოვანების კლასის კორომის საშუალო ხნოვანება,

$g_1, g_2, g_3, \dots, g_n$  — თითოეული ხნოვანების კლასის კორომის საშუალო ხნოვანების კვეთის ფართობი,

$EG$  — ყველა ხნოვანების კლასის კორომის კვეთის ფართობების ჯამი.

სათანადო განვარცხებები საშუალო ხნოვანების დადგენისთვის იმავე პრინციპით წარმოებს, როგორც შემოვანხილულ შემთხვევებში. განსაყვება მხოლოდ იმაშია, რომ ამ განვარცხებაში კვეთის ფართობები ნორმალურად.

ნარტივი, ერთხნოვანი აღნაგობის კორომებით წარმოდგენილ მეორეობაში საშუალო ხნოვანების განსაზღვრა შედარებით ადვილია.

ამას ვერ ვიტყვით რთული, შერეული და ნაირხნოვანი აღნაგობის კორომების შესახებ. აქ ფართობის ერთსა და იმავე ფორმულაზე შეასწავლია კორომი თითქმის ყველა ხნოვანების კლასის ხეების დაჯგუფებით (ახალგაზრდიდან გადაბერებულამდე) იყოს წარმოდგენილი. ანტიკომ. ასეთ კორომებსა, საშუალო ხნოვანების დადგენისთვის, იმდენ ხნოვანებით მაწილად ყოფებ, რამდენის შესაძლებლობასაც, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ოთხი და ნაირხნოვანი კორომი იძლევა.

ჩვეულებრივ, ტყეთმოწყობის პრაქტიკაში, რთულ და ნაირხნოვან კორომებში საშუალო ხნოვანება მარაგით გაბატონებული ნაწილისთვის იხსენიება, ე. ი. მთლიანი მარაგიდან, ხნოვანების რომელ ნაწილზეც (ახალგაზრდა, შუახნის, მომწიფარი, მწიფე და გადაბერებული) მარაგის მეტი ოდენობა მოდის, იმის მიხედვით დადგინდება კორომის საშუალო ხნოვანება. ეს იქნება კორომის გაბატონებული ნაწილის საშუალო ხნოვანება.

საქართველოს ტყეები, ძირითადად, ნაირხნოვანი კორომებით არის წარმოდგენილი. ამიტომ, მტკიცება იმის შესახებ თითქმის საქართველოს ტყეება, განსაკუთრებით კი წითლის, ნაცვისა და სოჭის, როგორც წმინდა, ისე შერეული კორომები, უმეტესწილად გადაბერებულია, მოკლებულია საფუძველს. სინამდვილეში, როგორც ეს ჩატარებული გამოკვლევებით (ვ. მირზაშვილი, პ. მეტრეველი, გ. გიგაური, შ. აფციაური და სხვ.) დადასტურდა. ეს კორომები ერთსა და იმავე ფართობებზე ასალგაზრდა, შუახნის, მომწიფარი, მწიფე და გადაბერებული თაობებისგან შედგებიან. გაუგებრობას ამ საკითხში ქმნის ნაირხნოვანი კორომების ხნოვანების განსაზღვრის არსებული წესი. ამ კორომების ხნოვანების დადგენის დროს მხედველობაში მიღებულია მხოლოდ და მხოლოდ მარაგი ან კვეთის ფართობების ჯამი, რომელიც კორომის მწიფე და გადაბერებულ ნაწილს თითქმის ყოველთვის მეტი აქვს, ვიდრე ახალგაზრდა. შუახნისა და მომწიფარ თაობებს, მაშინ როცა ეს თაობები ხეთა რიცხვის მიხედვით გაცილებით ქარბობს მწიფე და გადაბერებული თაობების ხეთა რაოდენობას. აღნიშნულის ილუსტრაციისთვის მოვიყვანოთ ზოგიერთი სანიმუშო ფართობის მასალა, რომელიც პ. მეტრეველთან ერთად (1959 წ.) დავამუშავეთ (ცხრ. 39).

39-ე ცხრილი გვიჩვენებს, რომ ხეთა რაოდენობით ნაცვის კორომება, ძირითადად, წარმოდგენილია ისეთი ხეებით, რომელთა დიამეტრები 8 სმ-დან 32 სმ-მდეა. მაგ., პირველ სანიმუშო ფართობზე 8 სმ-დან 32 სმ-მდე სიმაღლის ხეების რაოდენობა შეადგენს საერთო ხეთა რიცხვის 82,8%-ს, 34 სმ-დან 64 სმ-მდე სიმაღლის ხეების - 7,9%, ხოლო 66 სმ-დან 112 სმ-მდე ხეების - 9,3%. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა სანიმუშო ფართობებზეც.

შებრუნებული სურათი გვაქვს განიკვეთის ფართობების ჯამის მიხედვით. განიკვეთის ფართობების ჯამის მაღალი მაჩვენებლებით ხსენიებულია

მსვილზომი ხეები. მაგალითად, იმავე პირველ სანიმუშო ფართობზე მსვილ-  
ზომი (66—112 სმ-მდე) ხეების კვეთის ფართობების ჯამი საერთო კვეთის ფარ-  
თობის ჯამის 54,9%-ს შეადგენს, 8 სმ-დან 32 სმ-მდე სიშსოს ხეების—24,2%-ს,  
ხოლო 34—64 სმ-მდე სიშსოს ხეებისა—20,9%-ს:

ცხრილი 39

ნაძვის კორომის წვრილზომი, საშუალო და მსვილზომი ნაწილის  
განიკვეთის ფართობის ჯამის (G) და ხეთა რაოდენობის განაწილება 1 ჰა-ზე

სანიმუშო ფართობის ჯამი	სიშსოს სა- ფეხური (სმ)	ხეთა რიცხვი		განიკვეთის ფართობების ჯამი მ <sup>2</sup>	
		აბსოლუტური	%-ებით	აბსოლუტური	%-ებით
1	8—32	792	82,8	14,6	24,2
	34—64	76	7,9	13,2	20,9
	66—112	88	9,3	34,4	54,9
2	8—32	650	82,3	18,1	33,2
	34—64	100	12,6	13,8	25,4
	66—108	40	5,1	22,5	41,4
3	8—32	985	81,1	20,4	21,7
	34—64	144	11,9	20,8	22,1
	66—96	84	7,0	52,6	56,2

ყველა ასეთ შემთხვევაში, კორომის ხნოვანება კორომის მსვილზომი,  
ე. ი. მწიფე და გადაბერებული ნაწილის მიხედვით ისახლება, ვინაიდან  
მერქნის მარაგის მიხედვით მას უფრო მეტი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს  
და უგულვებელყოფილია კორომის მომავალი თაობების ხნოვანებები.

საქართველოში, სადაც ტყეების ძირითადი მნიშვნელობა მათი ნიადაგთ-  
დაცვითი, წყალდაცვითი, საკურორტო და სხვა თვისებებით განისაზღვრება,  
კორომის ხნოვანების დადგენის დროს ნეტი სამეურნეო მნიშვნელობა არა მარ-  
ტო იმ ნაწილს უნდა მიეკუთვნოს, რომელიც მერქნის მარაგის დიდ ოდენობას  
ქნის, არამედ მთლიანად კორომს, ყველა მასში წარმოდგენილი ხნოვანებითი  
თაობებით.

მართლაც, მთის ტყეებმა წარმატებით რომ შეასრულონ ნიადაგთდა-  
ცვითი, წყალდაცვითი და სხვა ფუნქციები, მეურნეობის წარმოებით უზრუნ-  
ველყოფილი უნდა იქნეს ფერდობებზე ხეთა რიცხვის მაქსიმალური რაოდენ-  
ობით ნიღება, რაც აუცილებელია ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნე-  
ბისა და მალალპროდუქტიული კორომების მისაღებად.

მაშასადამე, საქართველოს ნაირხნოვან კორომებში, მათი სპეციფიკური  
აღნაგობისა და დანიშნულების გამო, ხნოვანების განსაზღვრის დროს მხედ-  
ველობაში მიღებული უნდა იქნეს როგორც მწიფე და გადაბერებული, ისე  
ნონწიფარი, შუახნისა და ახალგაზრდა ხნოვანებითი თაობების ხნოვანებე-  
ბი. ნაირხნოვან კორომში, ხნოვანება დადგენილი უნდა იქნეს კორომის თი-

თოეული ხნოვანებითი თაობისთვის და არა მხოლოდ წინააღმდეგობრივი ნაწილის მიხედვით.

ე) სისწორის მიხედვით კორომი ცალკე სატაქსო უბნად გამოიყოფა, როცა ძირითადი სართულების სისწორეთა სხვაობა მასზე დაბლა იყოს ვიდრე 0,9 სისწორის კორომები. სხვა სატაქსაციო ნიშნების არსებობის შემთხვევაში უბნების გამოყოფა ხდება ერთგვარობის შენარჩუნების მიზნით 0,7 და 0,8—0,9 სისწორის კორომები ცალკე დამოუკიდებელი უბნად გამოიყოფიან.

თვალზომური ტაქსაციის დროს სისწორის გამოთვლისას უბნად გამოიყოფიან საბურჯის შეკრულების ხარისხის გამოყენებით.

გადათვლითი ტაქსაციის დროს კორომის სისწორის გამოთვლისას ფართობის ჯამის, ზრდის მსგეღლობის ან სისწორების სხვაობის საფუძველზე ცხრილებში მოცემული იმავე სახეობის უბნების სისწორის თან შეფარდებით ისაზღვრება (ცხრ. 40).

ტყეთმომწყობის მოქმედი ინსტრუქციით, სადაც არაა მოცემული კორომები 0,3 — სისწორის ქვევით და ხნოვნებას III კლასის უბნების 0,2—0,1 სისწორის კორომები ტყით დაუფარავი უბნების გამოყოფის მიხედვით.

ვ) ბონიტეტის კლასის მიხედვით, კორომი ცალკე სატაქსაციო უბნად (სხვა პირობათა თანაბრობის დროს) მაშინ გამოიყოფა, თუ კორომის ფართობის მომიჯნავე კორომების ბონიტეტებს შორის სხვაობა მოსალოდნელია კლასის მაინც შეადგენს. მაგალითად, გვაქვს კორომანეთის მომიჯნავე უბნებით გაბატონებული I, II და III ბონიტეტის კორომები, და სატაქსაციო უბნის გამოყოფა ბონიტეტის მიხედვით უნდა მოხდეს, მაშინ თითოეული ბონიტეტის კორომი ცალკე სატაქსაციო უბნად გამოიყოფა და შენარჩუნდება მაშინ უბანი ჩანოყალიბდება (I, II და III ბონიტეტისა ცალ-ცალკე).

ტყეკათვითი ფორმის მეურნეობაში კორომის ბონიტეტი ძირითადი სართულის გაბატონებული მეტყინანი სახეობის საშუალო სიმინლისა და ხნოვნების მიხედვით ისაზღვრება, რისთვისაც სპეციალური საბინიუტრო საზღვრები შედგენილი (ცხრ. 41, 42, 43).

როდესაც ნაირხნოვანი აღნაგობის ან ამორჩევი ქრასტაობულ კორომში, სადაც ძირითადი სართული არ არის გამოსახული, ბონიტეტი ისაზღვრება გაბატონებული სახეობის საუკეთესო ზრდისა და განვითარების ხეების სიმინლითა და ხნოვანებით.

ტყით დაუფარავი ფართობების ბონიტეტი მომიჯნავე უბნების ან წარსული ტყეთმომწყობის მასალების (როცა ეს ფართობები ტყით დაუფარული) მიხედვით დგინდება და, ბონიტეტის გარდა, აქ ზრდის ადგილსადაც უბნის პირობებიც უნდა იყოს ნაჩვენები. ხნოვანების I კლასის კორომებისთვის ბონიტეტი ზრდის ადგილობრივი პირობების მიხედვითა ისაზღვრება.

ბონიტეტის კლასი რომელიც ციურით აღინიშნება.

ზ) საქონლიანობის კლასის მიხედვით კორომი ცალკე სატაქსაციო უბნად მაშინ გამოიყოფა, თუ სხვა სატაქსაციო ნიშნების ერთგვარობის გამო, გაბატონებული სახეობის საქონლიანობის კლასებს შორის განსხვავება ერთ კლასს მაინც შეადგენს.

კვეთის ფართობების (მ<sup>2</sup>-ობით) და კორუმების პარაკების (მ<sup>2</sup>-ობით) სტანდარტული ცხრილი (1,0 სიხშირის დროს)

(H) მ.მ. სიხშირე	ბუბა, შევრზალ, თელა		კაბეცი		კავასის სოკი		წითელი		ფიჭის, ლა-ბიოსი, ცი-ბიოსი ფიჭვი		ნაპე, ცი-ბი-რის სოკი		არყი		ვერბუ, მურ-ყანი	
	კვეთის ფართობი	მარაგი	კვეთის ფართობი	მარაგი	კვეთის ფართობი	მარაგი	კვეთის ფართობი	მარაგი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი	სტანდარტული ცხრილი
10	18,1	100	21,9	109	30,2	171	21,2	110	27,1	141	22,0	119	16,1	83	19,3	99
11	19,3	114	23,4	127	32,1	196	22,8	129	28,0	157	23,3	136	17,1	94	20,4	113
12	20,4	129	25,0	146	34,0	223	24,3	148	29,0	173	24,5	153	18,0	106	21,5	128
13	21,5	144	26,6	166	35,9	251	25,6	168	29,9	190	25,6	171	19,1	120	22,6	143
14	22,5	160	28,1	188	37,7	281	26,9	189	30,6	206	26,7	189	20,0	134	23,7	160
15	23,5	176	29,7	211	39,4	311	27,9	209	31,5	223	27,8	209	21,0	148	24,8	176
16	24,4	193	31,3	235	41,0	342	28,9	230	32,2	240	28,9	229	22,0	163	25,8	193
17	25,4	211	32,8	251	42,6	375	29,8	251	32,7	258	30,0	250	22,9	178	27,0	213
18	26,4	230	34,4	288	44,2	409	30,6	272	33,3	275	31,0	272	23,9	195	28,0	233
19	27,3	247	36,0	316	45,8	444	31,4	283	33,8	294	32,0	294	24,9	212	29,1	254
20	28,3	266	37,5	346	47,2	479	32,2	315	34,3	312	33,0	317	25,7	228	30,3	277
21	29,2	289	39,1	377	48,8	517	32,8	337	34,7	330	34,0	341	26,6	248	31,4	300
22	30,2	308	40,7	410	50,2	555	33,4	358	35,1	348	34,9	364	27,5	267	32,4	325
23	31,2	331	42,7	443	51,6	593	33,9	379	35,6	366	35,9	390	28,3	286	33,5	348
24	32,1	353	43,8	478	53,1	635	34,3	399	36,0	384	36,8	415	29,2	305	34,7	372
25	33,0	376	45,4	514	54,5	676	34,8	421	36,4	402	37,8	442	30,0	325	35,7	398

თესლითი კორმების განაწილება ბონიტეტის კლასებად სიმაღლის:

და ხნოვანების მიხედვით

სიმაღლე ხნოვანება	თესლითი კორმების სიმაღლე მ-ობით						
	I ა	I	II	III	IV	V	V ა
10	6-5	5-4	4-3	3-2	2-1		
20	12-10	9-8	7-6	6-5	4-3		
30	16-14	13-12	11-10	9-8	7-6		
40	20-18	17-15	14-13	12-10	9-8		
50	24-21	20-18	17-15	14-12	11-9		
60	28-24	23-20	19-17	16-14	13-11		
70	30-26	25-22	21-19	18-16	15-12		
80	32-28	27-24	23-21	20-17	16-14		
90	34-30	29-26	25-23	22-19	18-15		
100	35-31	30-27	26-24	23-20	19-16		
110	36-32	31-29	28-25	24-21	20-17		
120	38-32	33-30	29-26	25-22	21-18		
130	38-34	33-30	29-26	25-22	21-18		
140	39-35	34-31	30-27	26-23	22-19		
150	39-35	34-31	30-27	26-23	22-19		
160	40-36	35-31	30-27	26-23	22-19		
180	40-36	35-31	30-27	26-23	22-19		
200	40-36	35-31	30-27	26-23	22-19		
240	40-36	35-31	30-27	26-23	22-19		
280	40-36	35-31	30-27	26-23	22-19		
300	40-36	35-31	30-27	26-23	22-19		

ამონაყრითი კორმების განაწილება ბონიტეტის კლასებად სიმაღლის:

და ხნოვანების მიხედვით

სიმაღლე ხნოვანება	ამონაყრითი კორმების სიმაღლე მ-ობით						
	I ა	I	II	III	IV	V	V ა
5	5	4	3	2	1,5		
10	7	6	5	4	3		
15	11	10-9	8-7	6	5	4-3	
20	14	13-12	11-10	9-8	7-6	6-4	
25	16	15-13	12-11	10-9	8-7	6-5	
30	18	17-16	15-13	12-11	10-8	7-6	
35	20	19-17	16-14	13-12	11-10	9-7	
40	21	20-19	18-16	15-13	12-11	10-8	
45	23	22-20	19-17	16-14	13-11,5	10-8,5	
50	25	24-21	20-18	17-15	14-12	11-8,5	
55	26	25-23	22-19	18-16	15-13	12-9	
60	27	26-24	23-20	19-16,5	16-13,5	13-9	
65	28	27-24,5	24-21	20-17	16-13,5	13-9	
70	28,5	28-25	24-21,5	21-18	17-14	13-9	
75	29	28-25,5	25-22	21-18,5	18-14,5	14-9	
80	30	29-26	25-23	22-19	18-14	14-9	
85	31	30-27	26-23,5	23-20	19-15	14-9	
90	31	30-27	26-23,5	23-20	19-15	14-9	
100	31	30-28	27-24	23-20	19-15	14-9	
110	32	31-28,5	28-25	24-21	20-17	16-13,5	
120	33	32-29	28-26	24-21	20-17	16-13,5	

თესლითა კორომების დანაწილება ბონიტეტის კლასებად სიმალისა  
და ხნოვანების მიხედვით (კორექტირებული სკალა ნ. მარგველაშვილის მიერ)

ბონიტეტი  
ხნოვანება

თესლითი კორომების სიმალე მ-ობით

	I 8	I 6	I 5	I	II	III	IV	V	V a
10	8-7	7-6	6-5	5-4	4-3	3-2	2-1	—	—
20	16-15	14-12	12-10	9-8	7-6	6-5	4-3	2	1
30	22-19	18-16	16-14	13-12	11-10	9-8	7-6	5-4	3-2
40	25-23	23-21	20-18	17-15	14-13	12-10	9-8	7-5	4-3
50	30-27	27-24	24-21	20-18	17-15	14-12	11-9	8-6	5-4
60	33-30	30-27	26-23	23-20	19-17	16-14	13-11	10-8	7-5
70	36-33	32-29	29-26	25-22	21-19	18-16	15-12	11-9	8-6
80	37-34	34-31	31-28	27-24	23-21	20-17	16-14	13-11	10-7
90	39-36	35-32	32-29	29-26	25-23	22-19	18-15	14-12	11-8
100	40-37	37-34	33-30	30-27	26-24	23-20	19-16	15-13	12-9
110	41-38	38-35	35-32	31-29	28-25	24-21	20-17	16-13	12-10
120	42-39	39-36	36-33	33-30	29-26	25-22	21-18	17-14	13-10
130	43-40	40-37	37-34	33-30	29-26	25-22	21-18	17-14	13-10
140	44-41	41-38	38-35	34-31	30-27	26-23	22-18	17-14	13-10
150	45-42	42-39	38-35	34-31	30-27	26-23	22-19	18-14	13-10
160	46-43	43-40	39-36	35-32	31-28	27-24	23-20	19-15	14-11
170	47-44	43-40	39-36	35-32	31-28	27-24	23-20	19-15	14-11
180	47-44	44-41	40-37	36-33	32-29	28-25	24-21	20-16	15-11
190	48-45	44-41	40-37	36-33	32-29	28-25	24-21	20-16	15-11
200	49-46	45-42	41-38	37-34	33-30	29-26	25-22	21-17	16-11
220	50-47	46-43	42-39	38-35	34-31	30-27	26-23	22-17	16-11
240	51-48	47-44	43-40	39-36	35-32	31-28	27-23	22-17	16-11
260	52-49	48-45	44-41	40-37	36-33	32-29	28-24	23-17	16-11
280	52-49	48-45	44-41	40-37	36-33	32-29	28-24	23-17	16-11
300	53-50	49-46	45-42	41-38	37-34	33-29	28-24	23-17	16-11
320	53-50	49-46	45-42	41-38	37-34	33-29	28-24	23-17	16-11
340	53-50	49-46	45-42	41-38	37-34	33-29	28-24	23-17	16-11

შენიშვნა: ნახვილი ნაჯი ხახის ხენით მოყვანილი მასალა ამოღებულია საერთო საბონიტეტო სკალიდან. დანარჩენი კი ეკუთვნის ნ. მარგველაშვილს.

საქონლიანობის კლასი დგინდება მომწიფარი, მწიფე და გადაბერებული სლოვანების კორომებში შემაჯავლი თითოეული სახეობისთვის და არაბული ჯიფრით აღინიშნება.

ტყელონაწილობის მოქმედი ინსტრუქციით (§ 161) კორომის მთლიანი მარაგიდან სამასალე მერქნის %-ული გამოსავლიანობის მიხედვით, საქონლიანობას სამი კლასია დადგენილი და მათი განსაზღვრისთვის შემდეგი მაჩვენებლებია ნიღებული (ცხრ. 44).

სამასალე, 44-ე ცხრილში მოყვანილი მასალის მიხედვით, საქონლიანობის 1 კლასს წიწვოვანთა ის კორომი მიეკუთვნება, სადაც კორომის ბოლიანი მარაგიდან სამასალე მერქნის გამოსავლიანობა 71%-სა და მეტს შეადგენს, ხოლო ფოთლოვანებში — 51%-სა და მეტს. 2 კლასს — წიწვოვანებში

51%-დან 70%-მდე, ფოთლოვანებში 31%-დან 41%-მდე, ხოლო კლასს მიეკუთვნება წიწვოვანებში--50%-მდე, ხოლო ფოთლოვანებში 31%-მდე სამასალე მერქნის გამოსავლიანობის კორომები.

1950 წლის 44

კორომების დანაწილება საქონლიანობის კლასებზე

საქონლიანობის კლასი	სამასალე მერქნის გამოსავლიანობა % მთლიან მთიანეზე	
	წიწვოვანებისთვის	ფოთლოვანებისთვის
1	71% და მეტი	45-70-მდე
2	51-70%-მდე	31-44-მდე
3	50%-მდე	21-30-მდე

ტყეში საქონლიანობის კლასის განსაზღვრის მიზნით ტყეში მოქმედებს სტრუქციით სამასალე და საშეშე ხეების ურთიფრთხიანად დარღობა და მოცილება (ცხრ. 45).

1950 წლის 45

საქონლიანობის კლასის განსაზღვრისთვის სამასალე და საშეშე ხეების თანაფარდობა

საქონლიანობის კლასი	სამასალე ხეების %-ული რაოდენობა კორომის ხეების საერთო რაოდენობაში	
	წიწვოვანები	ფოთლოვანები
1	91 და მეტი	71 და მეტი
2	71-90-მდე	45-70-მდე
3	70 და ქვევით	44 და ქვევით

45-ე ცხრილში ჩანს, რომ ტყეში კორომის საქონლიანობის კლასის დადგენა სამასალე და საშეშე ხეების რაოდენობის განსაზღვრით შეიძლება. კერძოდ, წიწვოვანებში, თუ ხეთა რიცხვის 91% და მეტი სამასალე ხეებზე მოდის, მაშინ იგი საქონლიანობის 1 კლასს მიეკუთვნება, საქონლიანობის 2 კლასისად დაიჯილება ის კორომები, სადაც სამასალე ხეები ყველა ხეების 71-დან 90%-მდე შეადგენენ, ხოლო 3 კლასისად ისეთი, რომლის სამასალე ხეები 70% და ნაკლებია. ფოთლოვანებში, საქონლიანობის 1 კლასს მიეკუთვნება ის კორომი, სადაც სამასალე ხეები 71% და მეტია, 2 კლასს ისეთი, სადაც მთლიან ხეებში 45-70%-მდეა და 3 კლასს ის კორომი, სადაც სამასალე ხეები 44% და ნაკლებია.

მაშასადამე, კორომის სასაქონლო კლასის დადგენაზე, თითოეულ ჩანს, წავლენას ახდენს კორომის ხარისხობრივი მდგომარეობა კორომის თითოეულ

სწორღეროვანსა და ჯანსაღ ხეებს მოიცავს, საქონლიანობის პირველ კლასს მიეკუთვნება. ფაუტნიანობის საშუალო ხარისხის კორომი—მეორე კლასს, ხოლო კორომი, რომელიც ფაუტნიანი ხეების დიდი რაოდენობით ხასიათდება — მესამე კლასში ჩაირიცხება.

თ) ტყის ტიპებით კორომის სატაქსაციო უბნის გამოყოფა წარმოებს გაბატონებული ტიპის მიხედვით, როცა ისინი ზრდის ადგილსაარსებო პირობებით სხვადასხვა ტყის ტიპებს ეკუთვნიან და, ამასთან დაკავშირებით, განსხვავებულ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს მოითხოვენ (ნ. მარგველაშვილი; 1961 წ.).

ტყის ტიპების დადგენის შემდეგ სატაქსაციო უბნები გეოდეზიურ გეგმაზე გადაიტანება და ტყის ტიპების გეგმა ასე მიიღება.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მთაგორიანი რელიეფის პირობებში, სადაც ტყეებს ნიადაგთდაცვითი, წყალდაცვითი და სხვ. ფუნქციების შესრულება ეკისრებათ, სატაქსაციო უბნების გამოყოფა შესაძლებელია მოხდეს ფერდობის დაქანების სიკვეთრის მიხედვითაც.

ტყეთმომწყობის ინსტრუქციით (§ 349, გვ. 135) კორომების უბნებად გამოყოფა ფერდობის დახრილობის შესაბამისად, წარმოებს ოთხი ჯგუფის მიხედვით, სახელდობრ:

- ა) დამრეცი 0—10°-მდე,
- ბ) საშუალო დაქანება 11—20°-მდე,
- გ) დაქანებული 21—30°-მდე და
- დ) ძლიერ დაქანებული 31° და მეტი.

ფერდობის დაქანების სიმკვეთრეს, სპეციალური ხელსაწყოს ე. წ. ბრანდისის ეკლიმეტრის საშუალებით ადგენენ და სატაქსაციო აღწერის უწყისში შეაქვთ.

მთიან პირობებში, ტყეების ნიადაგთდაცვითი, წყალდაცვითი და სხვა ფუნქციების შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის, ტექნიკურად სწორი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ტყეთმომწყობის ინსტრუქციით (§ 350), გათვალისწინებულია შემდეგი, განსაკუთრებულად დაცვითი, სატაქსაციო უბნების გამოყოფა:

- ა) ციკაბო კლდოვანი ფლატეები, აქა-იქ შერჩენილი ნიადაგებით.
- ბ) მოწვავებული და ჩამომზღვლეული ფართობები,
- გ) ეროზირებული ხეობებისა და ხევ-ხრამების სათავეები,
- დ) ზღინარეთა სათავეების ადგილები,
- ე) თოვლის ზეავეების ხშირი წარმოშობის ადგილები,
- ვ) მინერალური წყაროების ირგვლივ ფართობები და
- ზ) ისეთი რელიეფის ირგვლივ კორომები, მათი სატაქსაციო ნიშნების მიუხედავად.

მთიან პირობებში, აღნიშნულის გარდა, სატაქსაციო უბნები ცალკე, აგრეთვე, ირ შემთხვევაში გამოიყოფა, თუ კორომების შემადგენლობაში (თუნდაც თითო-ორილა მათი მონაწილეობის დროს) ძვირფასი რელიქტური

სახეობა (უთხოვარი, ბზა, ძელქვა, პონტიის მუსა, ხურმა, წაბლი და სსე.) ნონა-  
წილეობს.

კვარტალში სატაქსაციო უბნის გამოყოფის სახელმძღვანელო საფუძველს  
ტყეთმომწობის თანრიგი წარმოადგენს. სატაქსაციო უბანი, რაც შეიძლება  
ერთგვაროვანი უნდა იყოს და, ძირითადი სატაქსაციო ნიშნებით მოზოგნავე  
უბნებისგან მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს.

სატაქსაციო უბნის გამოყოფის სანიმუშო ნორმები, ტყეთმომწობის ან-  
სტრუქციის (§ 164, გვ. 70) შესაბამისად, შენდევია:

ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგული, პლანტაციუ წიხი განოსაგის  
შესაძლებლობის მიხედვით, 10 მმ<sup>2</sup> ფართობითა და მეტი ფართობით.

ბ) ტყით დაფარული ფართობების უბნები მაშინ, როდესაც, თუ მათი  
ფართობი I თანრიგით მოწყობის დროს შეადგენს 1 ჰა-სა და მეტს, II თან-  
რიგით 3 ჰა-სა და მეტს, III თანრიგით 10 ჰა-სა და მეტს, IV თანრიგით  
— 20 ჰა-სა და მეტს.

წიწვოვან ახალგაზრდა და შუახანის კორომებში მყოფე ტყის კვე-  
კეული უბნები, ხოლო ფოთლოვანებში სანაარსაწინააღმდეგო ადგილები  
და სხვა უბნები I, II და III თანრიგით მოწყობის დროს აღნიშნულ ფართო-  
ბებზე ნაკლებიც შეიძლება გამოიყოს კალე უბნად. ტყეების I თანრიგით მო-  
წყობის დროს იგივე დასაშვებია, აგრეთვე მუიუფე კორომებში ახალგაზრდა და  
შუახანოვანი კორომების ფართობების მიხედვით.

ფართის მერქნიან სახეობათა ტყის კულტურების უბნები ყველა ადგი-  
ლის ტყეებში გამოიყოფა იმ შემთხვევაში, თუ პლანტეზე მათი გადაჭანა და-  
საშვებია მიღებული მასშტაბით. თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, მაშინ აღნიშ-  
ვნა მათ შესახებ ხდება ტაქსაციის ურნალის მე-18, ხოლო სატაქსაციო აღ-  
წერის უწყისის 21-ე სვეტში, და პლანტეზე მათ პირობითი ნიშნით უჩვენებენ.

გ) ტყით დაუფარავი (ნაკაფი, ველობი, ნახანძრალი და ა. შ.) და არასაუ-  
ყეო (სას.-სამ. სავარგულების გარდა) ფართობები უბნებად მაშინ გამოიყო-  
ფა, თუ მათი ფართობები ნაკლები არაა: I თანრიგით მოწყობის დროს 0.5  
ჰა-ზე, II თანრიგით — 1 ჰა-ზე, III თანრიგით — 3 ჰა-ზე და IV თანრიგით — 10  
ჰა-ზე.

სატაქსაციო უბნების გამოყოფის ჩამოთვლილი ნორმები, ადვილობრივ  
პირობებთან დაკავშირებით, შესაძლებელია ტყეთმომწობის თათბირის მიერ  
იქნეს შეცვლილი და საამისო დასაბუთება თათბირის ოქმში უნდა იყოს მო-  
ცემული.

მათს ტყეებში სატაქსაციო უბნების გამოყოფა თვალზომური ტაქსაციით  
წარმოებს:

ა) აეროფოტოსურათების გამოყენების დროს მოპირდაპირე ფერდობიდან,  
შემდგომი დაზუსტებით, ბ) სავიზირო და საბუხოლე სვლების საშუალებით  
და გ) საკვარტალო ხაზებიდან, გზებიდან და გარე საზღვრებიდან. ფაიჯალის  
აბრისზე ორიენტირებულად გადმოაქეთ კორომის უბნის კონტურა კორომის  
შემადგენლობის, სისშირის, ხნოვანებისა და ფერდობის დაქანებას მიუხედავად,  
აგრეთვე, მოტიტვლებული ადგილები, ნახანძრალეობა, სასოფლო-სამეურნეო სა-  
ვარგულები და გამოუყენებელი მიწები. აბრისზე, აგრეთვე, კადკაბაბა უნდა იქ-  
ნენ ჰორიზონტალები, მთის ბილიკები, ნაკაღუღუღა, მასხიაღუღა და სასმე-

ლი წყლების გამოსვლის ადგილები. აბრისი დგება არსებული ტოპოგრაფიული მასალების ჩასშტაბში.

ანასთან ერთად, წარმოებს უბნის წინასწარი აღწერა, რაც ტყის ტაქსაციის ჟურნალში შეაქვთ. უბნის საზღვრებისა და სატაქსაციო აღწერის საბოლოო დაზუსტება, ვიზირებისა და საბუხსოლე სვლების მიხედვით, ტყის ტაქსაციის დროს ხდება.

სატაქსაციო უბნების კორომთა დახასიათება, ხემოჩამოთვლილი ძირითადი სატაქსაციო ელემენტების გარდა, რომელთა მიხედვით უბნების გამოიჯენა ხდება, ისეთი მეტად მნიშვნელოვანი სატაქსაციო მაჩვენებლების მიხედვითაც წარმოებს, როგორცაა კორომის მარაგი, საშუალო სიმაღლე, საშუალო დიამეტრი, კორომის მდგომარეობა და მიმდინარე ნაშატი მასის მიხედვით.

სატყეო აგეგმვა და აეროფოტოსურათების გამოყენებით. სატყეო აგეგმვითი სამუშაოები ტყეთმომწყობის მიზნების განხორციელებისთვის ტარდება და მას საფუძვლად სამეურნეო პრინციპი უდევს. ტყეთმომწყობის დროს ხდება მოსაწყობი ობიექტის მხოლოდ იმ ნაწილებისა და ელემენტების აგეგმვა რომლებიც აუცილებელია ტყეთმომწყობისთვის ტყის მეურნეობის ორგანიზაციის მიზნით.

ტყეთმომწყობაში სატყეო აგეგმვის ამოცანას შეადგენს ტყის მასივების საზღვრების გაზომვა მათი ქალაღზე გამოსახვისა და გეოგრაფიული მდებარეობის დადგენისთვის, ტყის მასივების შიგნითი თავისებურებების გამოსახვა და სხვ. ერთი სიტყვით, სატყეო აგეგმვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად, თითოეული სამეურნეო ერთეულისთვის გრაფიკული გეგმა მიიღება.

სატყეო აგეგმვაში ორ მხარეს არჩევენ: ერთს ტექნიკურ ანუ წმინდა გეოდეზიურ მხარეს, ხოლო მეორეს — სამეურნეოს, ანუ სატყეთმომწყობოს. სატყეო აგეგმვის საფუძველს ქვეყნის ტრიგონომეტრიული ქსელი წარმოადგენს.

ტყეთმომწყობის დროს, მოსაწყობ ობიექტზე სატყეო აგეგმვითი სამუშაოების სიზუსტე დამოკიდებულია საგეგმო დოკუმენტებისთვის შერჩეულ მასშტაბზე. რაც უფრო მსხვილია მასშტაბი, მით უფრო მეტია აგეგმვის სიზუსტის ხარისხი. მაგალითად, სხვადასხვა მასშტაბის გამოყენების დროს კვადრატული ფორმის სახაზავი (ვატმანის) ქალაღის (ზომით 60 X 60 სმ და სასარგებლო ფართობით 50 X 50 სმ) ერთ ფურცელზე შეიძლება მოთავსდეს შემდეგი ფართობი:

მასშტაბი	1 სმ <b>მპ</b>	ფართობი ჰა-ობით
1 : 5000	50 მ	625
1 : 10000	100 „	2500
1 : 20000	200 „	10000
1 : 25000	250 „	15625
1 : 50000	500 „	62500
1 : 100000	1000 „	250000

ძირითადი საგეგმო დოკუმენტები, რომლებიც ტყეთმომწყობის შედეგად დგება, პლანშეტები და მათზე თანდართული გეოდეზიური ჟურნალებია.

ტყეთმოწყობის პლანშეტების შედგენისათვის საჯაროდ უნდა გამოცხადდეს მოთხოვნები:

ა) წარსული ტყეთმოწყობის საგეგმო მასალები;

ბ) მოსაწყობი ობიექტის მოსახლერეკონსტრუქციების, საბუნებისმეტყველებისა და სხვათა მიწათმოქმედების გეოდეზიური მონაცემები და აეროფოტომეზურული გადაღებისა და აეროფოტოგრაფიული მონაცემები (ფოტოსატელეფილები) მასალები;

გ) ტოპოგრაფიული რუკები და სხვა კარტოგრაფიული მასალები.

სახლერეგებისა და პლანშეტების ჩარჩოების ძალი გადაღება შესაძლებელია ნაწილისთვის ხდება, რომლის შესახებ ადრინდელი შედეგის მასალები არ მოიპოვება.

ტყეთმოწყობის პლანშეტები ვაკის პარკებში უნდა შედგებოდეს მხოლოდ თა და შედარებით თანაბარი სიდიდით ხასიათდება.

მთიანი რელიეფის პირობებში კი საშუალოდ უნდა იყოს შედგენილი პლანშეტებად და ნაწილებად რელიეფის გასვლისწინებით წარმოებულ და მხოლოდ იმის შემთხვევაში უნდა იყოს შედგენილი მნიშვნელოვნად განიხილვად.

ტყეთმოწყობის ინსტრუქციის შესაბამისად, პლანშეტის მასშტაბი ტყეთმოწყობის თანრიგით შემდგენიარად განისაზღვრება:

ტყეთმოწყობის თანრიგი	I	II	III	IV	
პლანშეტის მასშტაბი	1:5000	1:10000	1:10000	1:25000	1:50000

I თანრიგით ტყეების მოწყობის დროს პლანშეტის მასშტაბს ტყეთმოწყობის პირველი თათბირი განსაზღვრავს.

ტყეთმოწყობის პლანშეტები, ჩასატარებელ სამუშაოთა სიზუსტისა და არსებული მასალების მიხედვით, შესაძლებელია გადატანილ ან შედგენილ იქნენ:

ა) კოორდინატების მიხედვით;

ბ) რუკებისა ან შიდა კუთხეების მიხედვით;

გ) გრაფიკულად ან პირის გადაღებით, მენზურული აგეგმვის გამოყენების დროს;

დ) დაზუსტებული ფოტოსატელეფიების არსებობის დროს ფოტოსატელეფიებზე გამოცხადებული საზღვრების პირის გადაღებით;

ე) ტოპოგრაფიული რუკების გეოდეზიური საფუძვლის მიხედვით მიწათმოქმედებისა და აეროფოტოსურათების გეოდეზიური მონაცემების გამოყენებით, რომლებზეც გამოცხადებულია საზღვრის ხაზები და პლანშეტების ჩარჩოები;

ვ) ადრინდელი ტყეთმოწყობის პლანშეტების მიხედვით. შიდა პარკის გადაღებით ან პანტოგრაფირებით;

პლანშეტების შედგენის ჩამოთვლილი წესებიდან, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ერთი რომელიმე ან მისი კომბინაცია სხვა რიგებში წესთან.

თითოეული პლანშეტის ზომაა 60 სმ x 90 სმ. პლანშეტის ცოცხალი მხრიდან 5 სმ სივანის ფელია დატოვებულია. იგი ქსოვილით აკრებია და სპეციალურ ყდაში ინახება.

ტყეომოწყობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსაწყობი ობიექტის კორომთა გეგმის შედგენას.

ტყის კორომთა გეგმა თითოეული სატყეოსთვის, პანტოგრაფირების ან ფოტოგრაფირების საშუალებით დგება. კორომთა გეგმის მასშტაბი, ისევე როგორც პლანშეტისა, ტყეომოწყობის თანრიგით განისაზღვრება, კერძოდ:

ტყეომოწყობის თანრიგი	I	II	III	IV
მასშტაბი	1:25000	1:25000	1:50000	1:100000

თუ პლანშეტები დამზადებულია მასშტაბით 1:5000, მაშინ ტყის კორომთა გეგმა 1:10000 მასშტაბით დგება.

ტყის კორომთა გეგმის სიდიდემ ვატმანის ქაღალდის 4 ფურცელს (ე. ი.  $120 \times 160$  სმ) არ უნდა გადააჭარბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გეგმის მასშტაბი მცირდება.

ტყის კორომთა გეგმა დადგენილი ნიშნების ზუსტად დაცვით უნდა შეიღებოს. გაბატონებული სახეობის კორომის შეფერვა 4 ანოვანებითი ჯგუფის (ახალგაზრდა, შუახნის, მომწიფარი და მწიფე და გადაბერებული) მიხედვით წარმოებს.

სხვადასხვა მერქნიანი სახეობის კორომი ტყის კორომთა გეგმაზე სხვადასხვა ფერით იღებება. სახეობების მიხედვით დადგენილია კორომის შეღების შემდეგი ფერები:

ფიჭვის, ციმბირის კედარის, ლარიქსის კორომები—აგურისფერი ჭიაფერის ნაზავით.

ნაცვის, სოჭის—ტუშის ფერი ჭიაფერის ნაზავით,

მუხის—გახსნილი ტუშის ფერით,

წიფლის, რცხილის —ლავეარდისფერი ტუშის ნაზავით,

არყის, ცაცხვის—ლავეარდისფერი რუბრევანდის ნაზავით,

ნურყნის, ვერხვის—რუბრევანდისფერი ლავეარდის ნაზავით.

ტყის კორომთა გეგმაზე იწერება: კვარტალის ნომერი, უბნის ნომერი, ხაზს ზევით უბნის ნომრის მარჯვნივ, ტირეთი ხნოვანების კლასი, ხაზს ქვევით. მარცხნივ ბონიტეტის კლასი, ხოლო მის მარჯვნივ კორომის სიაშირე (ნახ. 3, 4).

ტყის კორომთა გეგმაზე წარწერილი უნდა იყოს: რესპუბლიკა, ოლქი, სატყეო მეურნეობის სამმართველო, სატყეო მეურნეობა, სატყეო, საერთო ფართობი, ტყეომოწყობის ჩატარების წელი, გეგმის დამზადების წელი და ხაზობრივი და რიცხობრივი მასშტაბები. კორომთა გეგმაზე მოცემული უნდა იყოს, აგრეთვე, პირობითი ნიშნები.

ტყის კორომთა გეგმას ხელს აწერენ: მხაზველი, ტაქსატორები, ტყეომოწყობის პარტიის უფროსი, ტყეომოწყობის ექსპედიციის უფროსი.

ტყის კორომთა გეგმა  $20 \times 30$  სმ ზომის ნაწილებად იჭრება და ქსოვისა და დაეკრება; მისი ნაპირები შეკერილია ზონარით და განსაკუთრებულ მუყაოს ყდაში ინახება.

ტყეომოწყობის დროს დიდი გამოყენება აქვს აეროფოტოსურათებს, რომლებიც აეროფოტოაგეგმის შედგენადაა მიღებული. აეროფოტოსურათები, სატაქსაციო განმარტების, სასაღვრებისა და კორომების ტაქსაციური დახასია-

ათებისთვის გამოიყენება. აეროფოტოსურათი სატექსაციო და აგეგმვის სამუშაოების მეტი სიზუსტით ჩატარების საშუალებას იძლევა.

აეროფოტოსურათები, ტყეთმონაწილის სამუშაოებში გამოყენების დროს, შემდეგ ძირითად პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს (ინსტრუქციის § 112):

ა) აეროფოტოსურათი უნდა იყოს გეგმური, ერთმანშტაბიანი, საქმოდ კონტრასტული და სწორხაზოვან მარშრუტებს უნდა მოიცავდეს:

ბ) მათ უნდა ჰქონდეთ საჭირო გადაფარვა (სურათის ნაწილი, რომელზეც ერთი და იგივე ადგილია გადაღებული):

გ) მათ უნდა ჰქონდეთ აუცილებელი აღნიშვნები, როგორც ნომერი და ინდექსი, გადაღებული რაიონის სახელწოდების საწყისი ასო, გადაღების თვე, წელი და სხვ.:

დ) არ უნდა ჰქონდეთ ფოტოლაბორატორიული დამუშავების სარჩებები და ღრუბლებისა და სხვა გარეშე გამოსახულებების ლაქები.

აეროფოტოსურათის ვარგისობის შეფასების შემდეგი საშოშია მიღებული:

ა) I და II თანრიგით ტყეთმონაწილის დროს. მასშტაბი, როგორც წესი, უნდა იყოს 1:10000 ან 1:15000, III თანრიგით მონაწილის დროს— 1:20000 ან 1:25000, ხოლო IV თანრიგით ნოწყობის დროს— 1:25000 ან 1:30000;

ბ) აეროფოტოსურათის მარშრუტის გასწვრივი გადაფარვა არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები, ხოლო გარდიგარდშო მომიჯნავე მარშრუტებს შორის გადაფარვა 20%-ზე ნაკლები.

აეროფოტოსურათზე, რომელიც ტყის ტექსაციისთვის უკვე მონაზღებულია, აღინიშნება: გეოდეზიური ნიშნები, კვარტალების ნომრები და მათი სირონები, ვიზირები, სატექსაციო უბნების საზღვრების კონტურები, მდინარეები, გზები და ბილიკები, ამოცნობილი საზღვრები და საკვარტალო ქსელი. აეროფოტოსურათის მეორე მხარეზე აღინიშნება: სატყეოს დასახელება, კვარტალის ნომერი და მოსაზღვრე კვარტალების ნომრები, მასშტაბი, ხაზების ზომა, საერთო გაზომვის მიმართულება ისრებით, მდინარეებისა და გზების გადაკვეთის ადგილების საერთო გაზომვებისა და მსხვილი უბნების აღნიშვნები, თარიღი და შემსრულებლის ხელმოწერა.

აეროფოტოსურათზე შედარებით ადვილია ისეთი სატექსაციო უბნების გამოყოფა-აღნიშვნა, როგორცია, სათიბები, სახნავი, ველობი, ნახანძრალი, გაუტყვევებელი ტყეკაფი და სხვა არასატყეო და ტყით დაუფარავი ფართობები. ტყით დაფარულ ფართობებს შორის კონტურის ტყეით შემოხაზვა პარალელად იმ ფართობებისა ხდება, რომელთა საზღვრები მკვეთრად გამოირჩევა; შემდეგ კი ფანქრის ჰუნქტორით იმ უბნების შემოხაზვა ხდება, რომელთა საზღვრები ძნელად გამოსარკვევი ან საეკეოა. მარშრუტის დასახვის დროს ტექსაციური ხაზოვან ორიენტორებსა (გზებს, სირონებსა და სხვ.) და სხვა ოვალსაზიანობიექტებს იყენებს.

აეროფოტოსურათის ფოტოგამოსახულების ანალიზს, სათანადო ნაშნების მთელი კომპლექსის გათვალისწინებით, წარმოადგენს კვლევას კოლომების შემადგენლობაზე, ხნოვანებაზე, სიხშირეზე და პირველად.

აეროფოტოსურათის დემიფრება ორი წესით წარმოებს:

ა) აეროფოტოსურათზე უბნის გამოსახულების იმ უბანთან მიმსგავსებით, რომელიც ჩვეულებრივ ტაქსაციის დროს სირონებსა და ვიზირებზე სვლის დროს იყო აღწერილი;

ბ) აეროფოტოსურათზე კორომის შემადგენლობის, ხნოვანების კლასის, ბონიტეტისა და სიხშირის განსაზღვრითა და ზრდის მსვლელობის დამხმარე ცხრილების საშუალებით სხვა სატაქსაციო ელემენტების (საშუალო სიმაღლე, საშუალო დიამეტრი და საქონლიანობის კლასი) დადგენით.

ამ წესს მაშინ იყენებენ, როცა ვიზირებს შორის უბნები წინა ტაქსაციით აღწერილ უბნებს არ ემსგავსება.

ტყის ტაქსაცია ყველა ჯგუფის ტყეების მოწყობის დროს, ტყის ტაქსაცია ტყეთმოწყობის თანრიგის განურჩევლად, თვალზომური მეთოდით წარმოებს. ამასთან, თვალზომური ტაქსაციის მონაცემების დაზუსტება სანიმუშო ფართობებისა და კორომების ზრდის მსვლელობის ცხრილების მონაცემებითა ხდება.

ტაქსატორთა თვალზომის გამომუშავების და სხვა ტექნიკური ხერხების სწორად დადგენისა და გამოყენების მიზნით, საველე სამუშაოების დაწყებამდე, ტყეში უნდა ჩატარდეს ე. წ. საწვრთნელი ტაქსაცია, რომელიც ტყეთმოწყობის პარტიის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისთვის სავალდებულოა. საწვრთნელი ტაქსაციის ძირითად მიზანს შეადგენს:

ა) ერთნაირი ობიექტური ხერხების დადგენა ტყის თვალზომური ტაქსაციის დროს, კორომის შემადგენლობის, ხნოვანების, საშუალო სიმაღლისა და დიამეტრის, სიხშირის, მარაგისა და საქონლიანობის კლასის სწორად განსაზღვრისა და ტყის მასივების სატაქსაციო უბნებად დაყოფისთვის. ნაირ-ხნოვანი კორომების ტაქსაციის დროს, წვრთნის პერიოდში, ყურადღება ექცევა ტყის თაობების ტაქსაციას;

ბ) გადათვლითი ტაქსაციის მეთოდებში (სანიმუშო ფართობებისა და მოდულების აღება, ლენტისებრი გადათვლა-აზომვა და სხვ.) გამოცდილების მიღება;

გ) ტყის ბუნებრივი და ხელოვნური განახლების აღრიცხვაში ერთგვარობის დადგენა;

დ) საველე პირობებში აეროფოტოსურათების მასალების გამოყენების მეთოდების გაცნობა;

ე) ენტომომაყვანებლების და ფიტოდავალებების უმთავრესი სახეობებისა და მათ მიერ გამოწვეული დაზიანებების გაცნობა. ტყის ფაუტრიანობის განსაზღვრა;

ვ) ტყის ტიპებისა და ზრდის ადგილსაარსებო პირობების გაცნობა;

ზ) გამოცდილების მიღება შუალედი სარგებლობის ოდენობის განსაზღვრასა და მოვლითი ჭრების ჩატარებაში.

ტაქსატორთა წვრთნა შეიძლება კოლექტიურად და ინდივიდუალურად. კოლექტიური წვრთნის ობიექტი, ტყეთმოწყობის ხელმძღვანელობის მიერ ტყეში გასვლამდე ინიშნება.

სანიმუშო ფართობები და წვრთნის სხვა ობიექტები ტყეთმოწყობის პარტიის უფროსის ხელმძღვანელობით გამოცდილი ტაქსატორის მიერ უნდა

იქნეს შერჩეული. პირველი 2—3 სანიმუშო ფართობი ტყვეთმოწყობის პარტიის უფროსის ხელმძღვანელობით მთელ ჯგუფთან ერთად გამოიყოფა. წვრთნის დროს ტექპერსონალი მომარაგებელი უნდა იყოს საკერო პლანკებით, ხელსაწყოებით, ცნობარებითა და სხვ.

თითოეული ჯგუფი ან ტაქსატორი ვალდებულია იმდენი სანიმუშო ფართობი გამოიყოს და დაამუშაოს, რამდენსაც მოეთითებს ტყვეთმოწყობის პარტიის უფროსი.

წვრთნის დროს, კორმების სატაქსაციო ნიშნებს კვლევისთვის განსაზღვრის სიზუსტის შეფასებისთვის, დასაშვებ დროს დედასა და შემდეგი ნორმებისა დადგენილი: საშუალო სიმაღლისთვის — 1, საშუალო კვანძისთვის, მარაგისა და სამასალე შერჩევის გამოსავლიანობისთვის — 10, საშუალო სანიმუშისთვის — 0,1, შემადგენლობის კოეფიციენტისთვის — 1, კომპლექსური ნიშნებისთვის — ხნოვანების II კლასამდე ერთი კლასი, ხოლო III კლასამდე — 2 კლასი ორი კლასი.

საწვრთნელი ტაქსაციის შემდეგ იწყება ტყეების სტრუქტურული ტაქსაცია. I და II თანრიგით ტყეების მოწყობის დროს ხდება გვერდითი გამოყოფილი თითოეული უბნის ტაქსაცია. უბნის დაწვრილებით, ტყეების რიგებით მისი ტაქსაცია სხვადასხვა მხრიდან წარმოებს და სტრუქტურული გამოყოფილი ფართობისთვის, დაკვირვების (ხანაწვრთების) შემდეგ ხდება დეტალური რიცხვითა დადგენილი (ცხრ. 46).

უბნებზე დაკვირვების მინიმალური რიცხვი

I თანრიგი		II თანრიგი	
ფართობი (ჰა-ობით)	უბანზე დაკვირვების მინიმალური რიცხვი (ტაქსაციის ეფონალში ჩანაწერების)	ფართობი (ჰა-ობით)	უბანზე დაკვირვების მინიმალური რიცხვი (ტაქსაციის ეფონალში ჩანაწერების)
3 ჰა-მდე	1	5 ჰა-მდე	1
3—10 ჰა-მდე	2	5—20 ჰა-მდე	2
10 ჰა-დან ხევით	3 და მეტი	20 ჰა-დან ხევით	3 და მეტი

თითოეული უბნისთვის, ტაქსაციის მიმდინარეობასთან ერთად, დგინდება მისი რიგითი ნომერი.

მოსაწყობი ობიექტის ტყეების ტაქსაცია, ტყვეთმოწყობის თანრიგის განუყოფელი ნაწილია, როგორც წესი, საზღვრების, ვიზირებისა და სირონების შედგენით წარმოებს. აეროფოტოსურათების გამოყენების დროს ამ მიზნით, აგროცენტრის დასაშვებია გზების, ბილაკების, ხანაწვრთებისა და სხვა ადგილების გამოყენება.

ტყის ტაქსაციის მონაცემების ფიქსაცია, მთელი უბნის დათვალეობის საფუძველზე, ტაქსაციის ეფონალში ხდება (ფორმა 3). ტაქსაციის ეფონალური ტყვეთმოწყობის მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს და ამიტომ ტაქსაციური ვალდებული არიან მის შეესებას რაც შეიძლება პედაგოგიკური კილონ.

კვარტალის ტაქსაციის დამთავრების შემდეგ ტაქსაციის ანგარიშს უბნის საბოლოოდ შემოფარგვლასა და ნუმერაციას. ამისათვის კვლევის უბნებზე დაყოფა, ფერადი თანქრებით მათი შეფერვალება და სტრუქტურული კვალიტალის ტაქსაციის დამთავრებისთანავე უნდა დასრულდეს ტყეში, ხანამ ტაქსატორს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს დასრულებული უბნების დასახელებები თავისებურებები.

რესპ., ასსრ \_\_\_\_\_

სატყვეო მეურნეობის სამმართველო \_\_\_\_\_

სატყვეო მეურნეობა \_\_\_\_\_

სატყვეო \_\_\_\_\_

სამეურნეო ნაწილი \_\_\_\_\_

ტაქსაციის უფრნალი

კვარტალის №

აეროფოტოსურათის №

1. გაბატონებული კორომები
2. რელიეფი და მდებარეობა
3. ნიადაგი
4. კვარტალის სახანძრო უმეწროების ბარისხი

I კლ.—მაღალი ა ბ გ

II „—საშუალო ა ბ გ

III „—დაბალი ა ბ გ

} ბაზი გავსვას

5. ხანძარსაწმინდობის წყაროები: წარმოებები, რკინიგზა, მონადირეები, მწყემსები და სხვ.
6. აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები \_\_\_\_\_

შესრულება: დასაწყისი \_\_\_\_\_ 196 წ.

დასრულება \_\_\_\_\_ 196 წ.

შესრულებს: ტაქსატორი

-მედიკალინური	19		
-მედიკალინური	18		
-მედიკალინური	17		
-მედიკალინური	16	სოციალური	
-მედიკალინური	15	სოციალური	
-მედიკალინური	14	სოციალური	
-მედიკალინური	13	სოციალური	
-მედიკალინური	12	სოციალური	
-მედიკალინური	11	სოციალური	
-მედიკალინური	10	სოციალური	
-მედიკალინური	9	სოციალური	
-მედიკალინური	8	სოციალური	
-მედიკალინური	7	სოციალური	
-მედიკალინური	6	სოციალური	
-მედიკალინური	5	სოციალური	
-მედიკალინური	4	სოციალური	
-მედიკალინური	3	სოციალური	
-მედიკალინური	2	სოციალური	
-მედიკალინური	1	სოციალური	











აღნიშვნები კვარტალის ტყეებში ტყეფორმაციების ჩატარების წინადადება მომზადარი ცვლილებების შესახებ. კვარტალში მომზადარი ცვლილებები თითოეული სატაქსაციო უბნის მიხედვით აღინიშნება და ამ ცვლილებების პროექტად და ზუსტად აღნუსხვაზე პასუხისმგებლობა სატყეო მეურნეობის დირექტორსა და უფროს მეტყევეს ეკისრება.

სატაქსაციო აღწერის უწყისი როგორც პირველი, იგი გამოიხატება ტყეფორმაციების დროს მთელი ობიექტისთვის აქლასობა უნდა შედგეს.

მთის ტყეებში სატაქსაციო აღწერის უწყისში, ბინომილიანი ნაქონილების გარდა, დამატებით უნდა იქნეს აღნიშნული ინსტრუქციის 6 მუხვი, ნიადაგის სიღრმე, მკვდარი საფარის სისქე, ეროსიული პროცესები მათი ინტენსიურობის ჩვენებით, ფერდობების დაქანების საბუთობა, კლასიფიკაცია და ზღვის დონიდან სიმაღლე 100 მეტრამდე სიზუსტით, მასთან ერთად, კვარტალის საერთო დახასიათებას დროს ნაქონიებზე უნდა იქნეს მათგან-ხილების მიმართულება, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან, თოვლის ზღვების წარმოქმნისა და გავლის ადგილები და სხვა თავისებურებები.

სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის დახასიათების, სოცლიათა და მათგან-არი სარგებლობის ტრების ოდენობის დაპროექტებისა და ტყეების საქონლიანობის განსაზღვრისთვის ძირითად დასაყრდენ მასალას კორომების აღწერების კლასების, ბონიტეტის, სიხშირის, საქონლიანობისა და მარაგების ფ.წ. რთული ცხრილი (ცხრ. 47) წარმოადგენს, რომელიც გაბატონებული სახეობისთვის დგება თითოეული სატყეოს, სამეურნეო ნაწილისა და სამეურნეო სექციის მიხედვით.

კორომების რთული ცხრილები ამ ცხრილის შესაბამის სვეტში თითოეული სატაქსაციო უბნის ფართობის, მარაგის, ბონიტეტის, სიხშირისა და საქონლიანობის კლასის შეტანით სატაქსაციო აღწერის მონაცემების საფუძველზე იყვება. თუ კორომი ორ ან მეტსართულიანია, მაშინ მეორეხარისხოვანი სართულის შესახებ, პირველი სართულის ქვეშ, მხოლოდ შესატყვისი მარაგი და სიხშირე ჩაიწერება და ცხრილის დაჯამების დროს მეორეხარისხოვანი სართულის მარაგი ცალკე აღირიცხება.

კორომების რთულ ცხრილებში ჩანაწერები კვარტალებად წარმოებს და ჯამები თითოეული კვარტალის, ბონიტეტის კლასის, გაბატონებული სახეობის, სამეურნეო ნაწილის, სატყეოსა და მთლიანად სატყეო მეურნეობის მიხედვით გამოიყვანება.

ხნოვანების კლასების რთულ ცხრილებში ფართობები უნდა იქნეს დაჯამებული, მარაგები კუმურმეტრობით შეათეადამდე სიზუსტით, ხოლო გაბატონებული რთულ ცხრილებში, რომელიც სატყეო მეურნეობის სათავადად იყენებენ გეგმის პროექტს ერთვის, ყველა სახეობების მარაგები, საქონლიანი ნაწილის მიხედვით, ცალკეული სახეობების, სატყეოსა და სატყეო მეურნეობისთვის ათას მუ-ობით უნდა იქნეს დაჯამებული სიზუსტით, ხოლო ფართობები კუმურმეტრობით

რეპ. ასსრ \_\_\_\_\_

სატყუო მეტრწიების საწმართველი \_\_\_\_\_

სატყუო მეტრწიება \_\_\_\_\_

სატყუო \_\_\_\_\_

სამეტრწიო ნაწილი \_\_\_\_\_

კორონა ხნოვანების კლასის, ბონიტეტის, სიხშირის, საქონლიანობისა და მარაგის  
ც ბ რ ი ლ ი  
გაბატონებული სახეობების მიხედვით

ტყუთმწიწიების პარტიის უფროსი

ხელის მოწერა

ტაქსატორი

ხელის მოწერა

1	კვარტალის №		ტყით დაფარავი ფართობი	ხნოვანების I კლასი	ხნოვანების II კლასი	ხნოვანების III კლასი	ხნოვანების IV კლასი
2	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით				
3	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		კვადრული მეტრი				
4	გავაფული		მანძილი				
5	მანძილი		მანძილი				
6	მანძილი		მანძილი				
7	მანძილი		მანძილი				
8	ხნოვანების კლასი		მანძილი				
9	მარაგი მ-ობით		მანძილი				
10	ლიტერის №		მანძილი				
11	ფართობი ჰა-ობით		მანძილი				
12	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		მანძილი				
13	სიხშირე		მანძილი				
14	მარაგი მ-ობით		მანძილი				
15	ლიტერის №		მანძილი				
16	ფართობი ჰა-ობით		მანძილი				
17	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		მანძილი				
18	სიხშირე		მანძილი				
19	მარაგი მ-ობით		მანძილი				
20	ლიტერის №		მანძილი				
21	ფართობი ჰა-ობით		მანძილი				
22	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		მანძილი				
23	სიხშირე		მანძილი				
24	მარაგი მ-ობით		მანძილი				
25	ლიტერის №		მანძილი				
26	ფართობი ჰა-ობით		მანძილი				
27	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		მანძილი				
28	სიხშირე		მანძილი				
29	მარაგი მ-ობით		მანძილი				

გ ა გ ა მ ე გ ა

ხნოვანების V კლასი					ხნოვანების VI კლასი					ხნოვანების VII კლასი				
30	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით		35	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით		40	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით	
31	ფართობი ჰა-ობით		ტყის ტიპი/ბინი/ტყე		36	ფართობი ჰა-ობით		ტყის ტიპი/ბინი/ტყე		41	ფართობი ჰა-ობით		ტყის ტიპი/ბინი/ტყე	
32	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		სიხშირე		37	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		სიხშირე		42	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		სიხშირე	
33	სიხშირე		მარაგი მ-ობით		38	სიხშირე		მარაგი მ-ობით		43	სიხშირე		მარაგი მ-ობით	
34	მარაგი მ-ობით				39	მარაგი მ-ობით				44	მარაგი მ-ობით			
35	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით		40	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით		45	ლიტერის №		ფართობი ჰა-ობით	
36	ფართობი ჰა-ობით		ტყის ტიპი/ბინი/ტყე		41	ფართობი ჰა-ობით		ტყის ტიპი/ბინი/ტყე		46	ფართობი ჰა-ობით		ტყის ტიპი/ბინი/ტყე	
37	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		სიხშირე		42	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		სიხშირე		47	ტყის ტიპი/ბინი/ტყე		სიხშირე	
38	სიხშირე		მარაგი მ-ობით		43	სიხშირე		მარაგი მ-ობით		48	სიხშირე		მარაგი მ-ობით	
39	მარაგი მ-ობით				44	მარაგი მ-ობით				49	მარაგი მ-ობით			

რთულ ცხრილებში, ტყით დაფარული ფართობების გარდა, მოცემულია, აგრეთვე: ტყით დაუფარავი ფართობების დანაწილება.

მთის ტყეებში, ამორჩევითი მეურნეობის წარმოების დროს, კორომების რთული ცხრილების დამატების სახით, ტყეთმონაწილის ინსტრუქციის (§ 364) შესაბამისად, სამეურნეო სექციებისა და ფერდობების დაქანების მიხედვით, შედგენილი უნდა იქნეს ხეთა რიცხვისა და მარაგების განსაკუთრებული უწყისი (ფორმა 5). ამ უწყისში, თითოეული სამეურნეო სექციისა და ფერდობის დაქანების ჯგუფების მიხედვით, ხეების ხარისხობრივ კატეგორიებად და სიმსხოს კლასებად, მოცემულია ხეთა რიცხვისა და მარაგების დანაწილება. უწყისის 1 — 8-მდე სვეტის მასალები ამოიკრიფება სატაქსაციო აღწერიდან, ხოლო 9—20-მდე სვეტები თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე იყვება ლენტისებრი სანიმუშო ფართობების მონაცემებით. უბნები, სადაც ლენტისებრი სანიმუშო ფართობები არაა გამოყოფილი ანალოგიური უბნების ჩვეულებრივი სანიმუშო ფართობების მონაცემებით უნდა დახასიათდეს. აღნიშნული სვეტების მრიცხველში იწერება ხეთა რიცხვი ათას ცალით, მნიშვნელში საერთო მარაგი ათას მ<sup>2</sup>-ობით მეათედის სიზუსტით.

სატყეო ტაქსაციას კორომის მარაგის განსაზღვრის მრავალნაირი ხერხი აქვს შემუშავებული. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს განვიხილავთ, რომელთაც ტყეთმონაწილის სამუშაოების დროს უფრო მეტი პრაქტიკული გამოყენება აქვთ.

სანიმუშო ფართობებზე კორომის მარაგის განსაზღვრა შესაძლებელია ფორმულით— $M = GHF$ ,

სადაც  $G$  არის კორომის კვეთის ფართობების ჯამი მ<sup>2</sup>-ობით,

$H$ —კორომის საშუალო სიმაღლე მ-ობით,

$F$ —საშუალო სახის რიცხვი კორომის სახეობისთვის.

ამ ფორმულით მრავალ შემთხვევაში შეიძლება კორომის მარაგის დადგენა. მისი ვარგისობა, მეტადრე მწიფე და გადაბერებულ კორომებში, დამოკიდებულია კვეთის ფართობების ჯამის სწორ დადგენასა და ხეების რიცხვის ზუსტ ათვლაზე. რასაკვირველია, საშუალო სიმაღლე და საშუალო სახის რიცხვიც შესაბამისად უნდა იქნეს მონახული. ამ ხერხით მარაგის განსაზღვრის დროს სამოდგელო ხეების მოჭრა საჭირო არაა.

პირველი გვერდი

ფორმა 5

რეკ. ასსრ \_\_\_\_\_  
სატყეო მეურნეობის სამმართველო \_\_\_\_\_  
სატყეო მეურნეობა \_\_\_\_\_  
სატყეო \_\_\_\_\_  
სახეობები ნაწილი \_\_\_\_\_

ხეთა რიცხვისა და მარაგების დანაწილების  
უწყისი

სამეურნეო სექციებისა და დაქანების ჯგუფების მიხედვით

ტყეთმონაწილის მართვის უფროსი \_\_\_\_\_

ტაქსატორი \_\_\_\_\_



ამ ფორმულის საფუძველზე ჰერდინგმა და ბორგრევემ უფრო მარტივი ფორმულა დაამუშავეს, რომლის მიხედვით კორომის მარაგი (სრული 1,0 სიხშირის დროს) კორომის სიმაღლის რომელიმე კოეფიციენტზე გამრავლებით ისაზღვრება (ვ. მირზაშვილი, 1960 წ.). მათი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ კვეთის ფართობების ჯამისა და სახის რიცხვის ნამრავლი ( $GF$ ) თითქმის მუდმივი სიდიდეა ცალკეული მერქნაინი სახეობების მიხედვით. მაგალითად, ფიჭვისა და წიფლისთვის იგი საშუალოდ 16-ს შეადგენს, ხოლო ნაძვისა და სოკისთვის—18. თუ კოეფიციენტებს ზემომოყვანილ ფორმულაში ( $M = GHF$ ) ჩავსვამთ, მივიღებთ ამა თუ იმ სახეობის 1,0—სიხშირის კორომის მარაგს. კერძოდ, ფიჭვისა და წიფლისთვის მარაგი ტოლი იქნება:  $M = 16H$ , ნაძვისა და სოკისთვის  $M = 18H$ , ხოლო თუ ეს მარაგი მოცემული კორომის სიხშირეზე ( $P$ ) გადამრავლდება, მივიღებთ ამ კორომის ნამდვილ მარაგს მოცემული სიხშირის დროს. შესატყვისად ფიჭვისა და წიფლისთვის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:  $M = 16HP$ , ხოლო ნაძვისა და სოკისთვის— $M = 18HP$ , ე. ი. კოეფიციენტის (16 და 18), სიმაღლისა და სიხშირის ნამრავლი გვაძლევს კორომის მარაგს.


უქანასკნელი ფორმულების სხვა სახეობებზე გამოყენების მიზნით მათ, ზოგადად, ასეთ სახეს აძლევენ— $M = KHP$ ; სხვა სახეობებზე და განსხვავებულ გარემო პირობებში, ამ ფორმულით კორომის მარაგის განსაზღვრის დროს კოეფიციენტები ცალკეული სახეობისა და კონკრეტული გარემო პირობების მიხედვით უნდა იქნეს დადგენილი.

საქართველოში, ამ ფორმულით კორომის მარაგის დადგენა სხვადასხვა სახეობისთვის (ფიჭვი, წიფელი, ნაძვი და სოკი) ვ. მირზაშვილმა შეამოწმა. გამოიკვია, რომ ჩვენს პირობებში ფიჭვისა და წიფლის კოეფიციენტები (16,2 და 15,9) ძლიერ ახლოს არიან ჰერდინგის მიერ მიღებულ კოეფიციენტებთან, ხოლო ნაძვისა და სოკის კოეფიციენტები (20 და 21) ძლიერ დაცილებულია მისი კოეფიციენტებიდან, რასაც ჩვენი ნაძვისა და სოკის კორომების მარაგების განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანი ცდომილების გამოწვევა შეუძლია. ამიტომ ჩვენს პირობებში ვ. მირზაშვილი ნაძვისა და სოკისთვის მისაღებ კოეფიციენტებად 20 და 21-ს თვლის.

